

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 8

უცხო ქვეყნის სასამართლოს
გადაწყვეტილებები

1. შვილად აყვანა; მშობლის უფლების ჩამორთმევა
2. განქორწინება
3. ალიმენტი
4. ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა
5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება
6. სესხის ხელშეკრულება; ვალის გადახდევინება
7. თანხის გადახდევინება; ჯარიმა
7. საპროცესო ქმედებათა განხორციელება

**1. შვილად აყვანა;
მშობლის უფლების ჩამორთმევა**

მშობლის უფლების ჩამორთმევა

განჩინება

#ა-661-შ-29-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ი. ხ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა: გ. ხ-მეს, დაბადებულს 1956 წლის 20 აგვისტოს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ჩამოერთვა მშობლის უფლება თავისი არასრულწლოვან, 1996 წლის 23 მაისს დაბადებულ ქ. ხ-ეზე; დადგინდა ცვლილების შეტანა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მარნეულის რაიონული სამსახურის მიერ გაცემულ, ბავშვის დაბადების 1996 წლის 14 აგვისტოს სააქტო #158 ჩანაწერში - ბავშვის გვარი - ხ-მე ნაცვლად შეიცვალა ხ-ოვათი, ხოლო მამის სახელად ის ნაცვლად მიეთითა ს; გ. ხ-მეს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ... ქ. #33-ში, ბინა #31-ში, დაეკისრა ი. ხ-ოვას სასარგებლოდ, მცხოვრების ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის დასახლებაში, ... ქ. #36-ში, ბინა #31-ში, სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით და ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განსახილველად გაწეული საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები 30 გრივნის ოდენობით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ხ-ოვამ, რომელმაც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებით ი. ხ-ოვას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ხ-ოვას შუამდგომლობა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მარნეულის რაიონული სამსახურის მიერ გაცემულ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის ნაწილში უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

“სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ” მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის “დ” ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებათა ცნობასა და მათი აღსრულების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევაში - იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

“სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებასა და ცვლილებების შეტანაზე კომპეტენტურ ორგანოს, კერძოდ, დასახელებული კანონის 110-ე მუხლი სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილების შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შესაცვლელი ჩანაწერის ადგილის მიხედვით. რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას, აღნიშნული კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად,

რომლის ტერიტორიაზეც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი; უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს.

ამდენად, კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება და სხვა სახელმწიფოს ორგანოებს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნიათ და პირიქით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სახელმწიფო ორგანოები არ ახდენენ.

მოცემულ შემთხვევაში უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით, რომლის ცნობასა და აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, დადგინდა ცვლილების შეტანა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მარნეულის რაიონული სამსახურის მიერ გაცემულ ბავშვის სააქტო ჩანაწერში, რისი უფლებამოსილებაც აღნიშნული ცვლილების დამდგენ სასამართლოს არ გააჩნია.

რაც შეეხება შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნას, რომელსაც წარმოადგენს დანარჩენ ნაწილში უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების წინაპირობები.

დადგენილია, რომ უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ი. ხ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა: გ. ხ-ძეს, დაბადებულს 1956 წლის 20 აგვისტოს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ჩამოერთვა მშობლის უფლება თავისი არასრულწლოვან შვილზე - 1996 წლის 23 მაისს დაბადებულ ქ. ხ-ზე; გ. ხ-ძეს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ... ქ. #33-ში, ბინა #31-ში, დაეკისრა ი. ხ-ოვას სასარგებლოდ, მცხოვრებს ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის დასახლებაში, ... ქ. #36-ში, ბინა #31-ში, სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით და ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განსახილველად გაწეული საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები 30 გრივნის ოდენობით.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ი.ხ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა: გ. ხ-ძეს, დაბადებულს 1956 წლის 20 აგვისტოს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ჩამოერთვა მშობლის უფლება არასრულწლოვან შვილზე - 1996 წლის 23 მაისს დაბადებულს ქ. ხ-ძეზე; გ. ხ-ძეს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ... ქ. #33-ში, ბინა #31-ში, დაეკისრა ი. ხ-ოვას სასარგებლოდ, მცხოვრებს ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის დასახლებაში, ... ქ. #36-ში, ბინა #31-ში, სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით და ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორ-

სკის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განსახილველად გაწეული საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები 30 გრივნის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 64-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით, 68-ე, 70-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ი. ხ-ოვას შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მარნეულის რაიონული სამსახურის მიერ გაცემულ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის ნაწილში უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, არ დაკმაყოფილდეს;
3. უკრაინის ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ხ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა: გ. ხ-ძეს, დაბადებულს 1956 წლის 20 აგვისტოს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ჩამოერთვა მშობლის უფლება არასრულწლოვან შვილზე - 1996 წლის 23 მაისს დაბადებული ქ. ხ-ძეზე; გ. ხ-ძეს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ქ. მარნეულში, ... ქ. #33-ში, ბინა #31-ში, დაეკისრა ი. ხ-ოვას სასარგებლოდ, მცხოვრები ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის დასახლებაში, ... ქ. #36-ში, ბინა #31-ში, სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით და ყირიმის ა/რ-ის ჩერნომორსკის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განსახილველად გაწეული საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯები 30 გრივნის ოდენობით, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შვილად აყვანა

განჩინება

#ა-1183-შ-40-09

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კ. ა-ვას წარმომადგენლის ლ. ა-ვას შუამდგომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე - საფრანგეთის მოქალაქის ე. ა. ბ-ონის მიერ კ. ა-ვას შვილად აყვანის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს (ლ,ენი) უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ა. ბ-ონის განცხადება (მცხოვრები საფრანგეთში, ქ. ტენე, ... ქ. #4) კ. ა-ვას შვილად აყვანასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით კ. ა-ვა, დაბადებული 1973 წლის 29 აგვისტოს ქ. თბილისში, მცხოვრები შვილად ამყვანთან, აღიარებულ იქნა ე. ა. ბ-ონის შვილად. ამავე გადაწყვეტილებით კ. ა-ვას მიენიჭა გვარი და სახელი - კ. ბ-ონ-ა-ვა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 24 ივლისს.

კ. ა-ვას წარმომადგენელმა ლაშა აბშილაძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივნისის განჩინებით კ. ა-ვას წარმომადგენლის ლ. ა-ვას შუამდგომლობა

საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს (ლ,ენი) უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ კ. ა-ვას წარმომადგენელ ლაშა აბ-შილავას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს (ლ,ენი) უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ა. ბ-სონის განცხადება (მცხოვრებს საფრანგეთი, ქ. ტენე, ... ქ. #4) კ. ა-ვას შვილად აყვანასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით კ. ა-ვა, დაბადებული 1973 წლის 29 აგვისტოს ქ. თბილისში, მცხოვრები შვილად ამყვანთან, აღიარებულ იქნა ე. ა. ბ-ონის შვილად. ამავე გადაწყვეტილებით კ. ა-ვას მიენიჭა გვარი და სახელი - კ. ბ-ონ-ა-ვა. ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 24 ივლისს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს (ლ,ენი) უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება და იგი დაექვემდებაროს აღსრულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კ. ა-ვას წარმომადგენელ ლ. ა-ვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ბელეს (ლ,ენი) უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა საფრანგეთის მოქალაქის ე. ა. ბ-ონის განცხადება (მცხოვრებს საფრანგეთი, ქ. ტენე, ... ქ. #4) კ. ა-ვას შვილად აყვანასთან დაკავშირებით; სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს კ. ა-ვა, დაბადებული 1973 წლის 29 აგვისტოს ქ. თბილისში, მცხოვრები შვილად ამყვანთან, საფრანგეთის მოქალაქის ე. ა. ბ-ონის შვილად; კ. ა-ვამ მიიღოს გვარი და სახელი - კ. ბ-ონ-ა-ვა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მშობლის უფლების ჩამორთმევა

განჩინება

#ა-760-შ-33-09

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ვ. ს-ვას და ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ლ. ნ. ვ-ვას შუამდგომლობები უკრაინის, ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ლ. ჯ-ძის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის, მეურვეობის დაწესების, ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის მაისში მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის მიმართ 1994 წლის 20 აგვისტოს დაბადებული ქალიშვილის - ა. ჯ-ძის მშობლის უფლების ჩამორთმევის თაო-

ბაზე, ვინაიდან მოპასუხე ბავშვის მამა, მაგრამ არ იღებს მონაწილეობას მის რჩენასა და აღზრდაში.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნებს, მოითხოვა 1994 წლის 20 აგვისტოს დაბადებული ქალიშვილის - ა. ჯ-ძის მშობლის უფლების ჩამორთმევა, ალიმენტის დაკისრება ნებისმიერი შემოსავლის წყაროდან 1/4-ის ოდენობით სასარჩელო განცხადების შეტანის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

უკრაინის, ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით 1956 წლის 15 ივნისს დაბადებულ ლ. ჯ-ძეს ჩამოერთვა 1994 წლის 20 აგვისტოს დაბადებული ქალიშვილის - ა. ჯ-ძის მშობლის უფლება;

1994 წლის 20 აგვისტოს დაბადებულ ა. ჯ-ძისათვის დაუწესდა მეურვეობა;

დაენიშნა 1994 წლის 20 აგვისტოს დაბადებულ ა. ჯ-ძეს მეურვე - ვ. ს-ვა.

1956 წლის 15 ივნისს დაბადებულ, საქართველოში, ქ. ბათუმში მცხოვრებ ლ. ჯ-ძეს დაეკისრა ალიმენტი ვ. ს-ვას სასარგებლოდ, 1994 წლის 20 აგვისტოს დაბადებული ქალიშვილის - ა. ჯ-ძის სარჩენად, ყველა სახის შემოსავლის (ხელფასის) 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არა ნაკლებ განსაზღვრული ასაკის ბავშვისათვის დადგენილი საარსებო მინიმუმის 30%-ისა, დაწყებული 2007 წლის 23 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ლ. ჯ-ძეს დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 59.50 გრივნის და სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯი - 30 გრივნის ოდენობით პოლტავის ოლქის სახელმწიფო სასამართლო ადმინისტრაციის ტერიტორიული სამმართველოს სასარგებლოდ.

ვ. ს-ვამ და ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ლ. ნ. ვ-ვამ შუამდგომლობებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის, ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობებს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევა. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე მხარეს უწყება უნდა ჰქონდეს ჩაბარებული გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის საპროცესო ნორმების შესაბამისად. უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, უკრაინის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირებს სასამართლო უწყებები გადაეცემათ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, რომელთა ვალდებულებებზე თანხმობა მოცემულია უკრაინის უზენაესი რადის მიერ, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენლობებით და საკონსულო დაწესებულებებით ამ პირების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში ლ. ჯ-ძის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, ... ქ. 36. როგორც შუამდგომლობის ტექსტიდან ირკვევა მოსარჩელისათვის ცნობილი იყო აღნიშნული მისამართი, მაგრამ დავის განხილვისას მოპასუხეს მითითებულ მისამართზე უწყება არ ჩაჰბარებია. უფრო მეტიც, როგორც ლ. ჯ-ძის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილიდან ირკვევა ლ. ჯ-ძეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 2006 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 10 ივლისამდე არ გადაუკვეთია, რაც გამორიცხავს უკრაინაში საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ გაგზავნილ მისამართზე მისი ცხოვრებისა და უწყების ჩაბარების ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების ცნობის საფუძველი და იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს აღსრულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ს-ვას და ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ლ. ნ. ვ-ვას შუამდგომლობები უკრაინის, ქ. პოლტავის კიევის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. განქორწინება

განჩინება

ა-164-შ-15-09

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. ნ-შვილის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევობერეჟნის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ლ. ნ-შვილის სარჩელის გამო მოპასუხე ბ. ნ-შვილის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ნ-შვილი და ლ. ნ-შვილი (ქალიშვილობის გვარი კარტაშევა) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1988 წლის 18 მაისიდან. ლ. ნ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ბ. ნ-შვილის მიმართ განქორწინების თაობაზე.

რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევობერეჟნის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - ლ. ნ-შვილი და ბ. ნ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 8 ივლისს.

ბ. ნ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევობერეჟნის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით ბ. ნ-შვილის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევობერეჟნის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოსარჩელე ლ. ნ-შვილს. მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 20 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი აღრესატს ჩაჰბარდა 2009 წლის 25 თებერვალს.

მოსარჩელე მხარეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბ. ნ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბ. ნ-შვილი და ლ. ნ-შვილი (ქალიშვილობის გვარი კ-ევა) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1988 წლის 18 მაისიდან. ლ. ნ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ბ. ნ-შვილის მიმართ განქორწინების თაობაზე.

რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევობერეჟნის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - ლ. ნ-შვილი და ბ. ნ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 8 ივლისს.

ბ. ნ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევიტინის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებისა და “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევიტინის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. ნ-შვილის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევიტინის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

რუსეთის ფედერაციის ქ. ვორონეჟის ლევიტინის რაიონის #2 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ნ-შვილი და ლ. ნ-შვილი განქორწინდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-122-შ-14-09

13 აპრილი, 2009წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

განხილვის საგანი: გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #33 F 187/07)

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით დანიამი, ლოგუმკლოსტერის მმარის განყოფილების უფროსის მიერ 2006 წლის 18 მაისის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი #5635/2006) შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა მ. ხ-შვილმა (წარმომადგენელი ნ. ხ-შვილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით მ. ხ-შვილის (წარმომადგენელი ნ. ხ-შვილი) შუამდგომლობა გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილება #33 F 187/07) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამ-

დგომლობის თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობის, მასზე თანდართული მასალებისა და ზემოაღნიშნული განჩინების ასლები ა. ფ-კს ვერ ჩაჰბარდა, საკასაციო სასამართლოში დაბრუნებულ საფოსტო კონვერტზე გზავნილის ადრესატისათვის ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია: "გამოუხმაურებლობა" ("მოუკითხველობა"). აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს სასამართლო გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარებულად მიჩნევას და შესაბამისად, წარმოდგენილი შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვას.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ მ. ხ-შვილის (წარმომადგენელი ნ. ხ-შვილი) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება #33 F 187/07) დანიაში, ლოგუმკლოსტერის მმარის განყოფილების უფროსის მიერ 2006 წლის 18 მაისის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი #5635/2006) შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #33 F 187/07) .

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 70-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ხ-შვილის (წარმომადგენელი ნ. ხ-შვილი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #33 F 187/07), რომლითაც დანიაში, ლოგუმკლოსტერის მმარის განყოფილების უფროსის მიერ 2006 წლის 18 მაისის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი #5635/2006) შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შუამდგომლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. ა-ადას წარმომადგენელ დ. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, გ. კ-ისის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. კიოლნის მმაჩის ბიუროში 1998 წლის 20 აგვისტოს ნ. ა-ადასა და გ. კ-ისის შორის რეგისტრირებული ქორწინება (#3355) შეწყდა.

ნ. ა-ადას წარმომადგენელმა დ. შ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით ნ. ა-ადას წარმომადგენელ დ. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ნ. ა-ადას წარმომადგენელ დ. შ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. კიოლნის მმაჩის ბიუროში 1998 წლის 20 აგვისტოს ნ. ა-ადასა და გ. კ-ისის შორის რეგისტრირებული ქორწინება (#3355) შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ა-ადას წარმომადგენელ დ. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გერმანიის ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. კიოლნის უზნის სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. კიოლნის მმაჩის ბიუროში 1998 წლის 20 აგვისტოს ნ. ა-ადასა და გ. კ-ისის შორის რეგისტრირებული ქორწინება (#3355) შეწყდა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა დ. გ-იანის წარმომადგენლის ნ. გ-იანის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი ფრაიბურგ ბრაისგაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, კ. 3-პეს მიმართ, განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფრაიბურგ ბრაისგაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დ. გ-იანის განცხადება კ. 3-პეს მიმართ, განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

დ. გ-იანის წარმომადგენელმა ნ. გ-იანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ფრაიბურგ ბრაისგაუს პირველი ინსტანციის 2008 წლის 27 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ დ. გ-იანის წარმომადგენლის ნ. გ-იანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ფრაიბურგ ბრაისგაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დ. გ-იანის განცხადება კ. 3-პეს მიმართ, განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 28 ნოემბერს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ფრაიბურგ ბრაისგაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. გ-იანის წარმომადგენლის ნ. გ-იანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს: ფრაიბურგ ბრაისგაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განაჩენი, რომლითაც დ. გ-იანის განცხადება კ. 3-პეს მიმართ, განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-932-შ-37-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ბ-ელის (ი-მის) მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილებით განქორწინებულ იქნენ 2004 წლის 29 ოქტომბერს ქ. კარლსრუეში #800/2004 ნომრით რეგისტრირებული მხარეები, ხოლო მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული წილების გაყოფის საკითხი ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი.

გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის პირველ დეკემბერს.

ნ. ბ-ელის (ი-ძის) წარმომადგენელმა ზ. ი-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით ნ. (ი-ძის) ბ-ელის წარმომადგენელ ზ. ი-ძის შუამდგომლობა გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ბ-ელის (ი-ძის) წარმომადგენელ ზ. ი-ძის შუამდგომლობა გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილებით განქორწინებულ იქნენ 2004 წლის 29 ოქტომბერს ქ. კარლსრუეში #800/2004 ნომრით რეგისტრირებული მხარეები.

გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის პირველ დეკემბერს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს დ მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ბ-ელის (ი-ძის) წარმომადგენელ ზ. ი-ძის შუამდგომლობა გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის, კარლსრუეს პირველი უწყების სასამართლოს 2008 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილება რომლითაც განქორწინებულ იქნენ 2004 წლის 29 ოქტომბერს კარლსრუეში #800/2004 ნომრით რეგისტრირებული მხარეები - მ. ბ-ელი და ნ. ბ-ელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. კ-ცეს შუამდგომლობა გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ბ. კ-ცეს მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით შტაინფურტის მმაჩის ბიუროში 2004 წლის 11 ოქტომბერს ქ. კ-ცესა და ბ. კ-ცეს შორის რეგისტრირებული ქორწინება (#113/2004) შეწყდა.

ქ. კ-ცემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით ქ. კ-ცეს შუამდგომლობა გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ქ. კ-ცეს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით შტაინფურტის მმაჩის ბიუროში 2004 წლის 11 ოქტომბერს ქ. კ-ცესა და ბ. კ-ცეს შორის რეგისტრირებული ქორწინება (#113/2004) შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. კ-ცეს შუამდგომლობა გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გერმანიის შტაინფურტის სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შტაინფურტის მმაჩის ბიუროში 2004 წლის 11 ოქტომბერს ქ. კ-ცესა და ბ. კ-ცეს შორის რეგისტრირებული ქორწინება (#113/2004) შეწყდა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ლ-ერტის (ზ-შვილის) წარმომადგენელ ნ. ზ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ო. პ. ლ-ერტის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით 2003 წლის 22 აპრილს ქ. თბილისში ე. ზ-შვილსა (ლ-ერტსა) და ო. პ. ლ-ერტს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

ე. ლ-ერტის (ზ-შვილის) წარმომადგენელმა ნ. ზ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით ე. ლ-ერტის (ზ-შვილის) წარმომადგენელ ნ. ზ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ე. ლ-ერტის (ზ-შვილის) წარმომადგენელ ნ. ზ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით 2003 წლის 22 აპრილს ქ. თბილისში ე. ზ-შვილსა (ლ-ერტსა) და ო. პ. ლ-ერტს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ლ-ერტის (ზ-შვილის) წარმომადგენელ ნ. ზ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გერმანიის ჰამბურგ-ბარმბეკის საუბნო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც 2003 წლის 22 აპრილს ქ. თბილისში ე. ზ-შვილსა (ლ-ერტსა) და ო. პ. ლ-ერტს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-1878-შ-56-09 16 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. ა-იანის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ბად ოუენ-ჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ი. ა-იანის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით 1995 წლის 29 აპრილს ქ. თბილისში ნ. ა-იანსა და ი. ა-იანს შორის რეგისტრირებული #272 ქორწინება შეწყდა.

ნ. ა-იანმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ნ. ა-იანის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ა-იანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით 1995 წლის 29 აპრილს ქ. თბილისში ნ. ა-იანსა და ი. ა-იანს შორის რეგისტრირებული #272 ქორწინება შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ა-იანის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გერმანიის ქ. ზად ოუენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც 1995 წლის 29 აპრილს ქ. თბილისში ნ. ა-იანსა და ი. ა-იანს შორის რეგისტრირებული #272 ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1583-შ-47-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ა-ასმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ა-ასის მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილებით შეწყდა 2004 წლის 17 თებერვალს ქ. ლუბეკეს მმაჩის განყოფილებაში 5/2004 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ს. ა-ასსა და ე. ა-ასს შორის.

გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების თანახმად, მოცემული დადგენილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 9 მაისს.

საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ ე. ა-ასი თანახმაა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე.

ს. ა-ასმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განჩინებით ს. ა-ასის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ს. ა-ასის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილებით შეწყდა 2004 წლის 17 თებერვალს ქ. ლუბეკეს მმაჩის განყოფილებაში 5/2004 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ს. ა-ასსა და ე. ა-ასს შორის. დადგენილების თანახმად, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 9 მაისს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს. ამდენად, ს. ა-ასის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს შუამდგომლობაში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ს. ა-ასის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ქ. ზად ოენჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის დადგენილება, რომლითაც შეწყდა 2004 წლის 17 თებერვალს ქ. ლუბეკეს მმაჩის განყოფილებაში 5/2004 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ს. ა-ასსა და ე. ა-ასს შორის.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. შ-ძის წარმომადგენლის - თ. შ-ძის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. მ-ერის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 8 ივლისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. გუმერსბახის მმჩის ბიურომ #109/2005 საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე ი. მ-ერი-სა და საქართველოს მოქალაქე მ. შ-ძის ქორწინება. ი. მ-ერმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მ. შ-ძის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები ერთ წელზე მეტია, რაც ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ქორწინების პერიოდში მათ შვილები არ შექმნიათ. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. მ-ერი და მ. შ-ძე განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 მარტიდან.

მ. შ-ძის წარმომადგენელმა თ. შ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მ. შ-ძის წარმომადგენლის - თ. შ-ძის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. შ-ძის წარმომადგენელ თ. შ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2005 წლის 8 ივლისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. გუმერსბახის მმჩის ბიურომ #109/2005 საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე ი. მ-ერი-სა და საქართველოს მოქალაქე მ. შ-ძის ქორწინება. ი. მ-ერმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მ. შ-ძის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები ერთ წელზე მეტია, რაც ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ქორწინების პერიოდში მათ შვილები არ შექმნიათ. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. მ-ერი და მ. შ-ძე განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 მარტიდან.

მ. შ-ძის წარმომადგენელმა თ. შ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მ. შ-ძის წარმომადგენლის - თ. შ-ძის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ი. მ-ერის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუმერსბახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ერი და მ. შ-ძე განქორწინდნენ, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-1875-შ-55-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ბ-ოვის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. ბ-იდის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-ოვი და ა. ბ-იდი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1997 წლის 6 დეკემბრიდან. ნ. ბ-ოვმა და ა. ბ-იდმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მიუთითეს, რომ მხარეები ექვსი თვეა ერთად აღარ ცხოვრობენ და სურთ განქორწინება. ქორწინების პერიოდში მათ შვილები არ შექმნიათ.

საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ნ. ბ-ოვი და ა. ბ-იდი განქორწინდნენ.

ნ. ბ-ოვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით ნ. ბ-ოვის შუამდგომლობა, საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ბ-ოვის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. ბ-ოვი და ა. ბ-იდი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1997 წლის 6 დეკემბრიდან. ნ. ბ-ოვმა და ა. ბ-იდმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მიუთითეს, რომ ექვსი თვეა ერთად აღარ ცხოვრობენ და სურთ განქორწინება. ქორწინების პერიოდში მათ შვილები არ შექმნიათ.

საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ნ. ბ-ოვი და ა. ბ-იდი განქორწინდნენ.

ნ. ბ-ოვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ბ-ოვის შუამდგომლობა, საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ა. ბ-იდის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

საბერძნეთის რესპუბლიკის თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ოვი და ა. ბ-იდი განქორწინდნენ, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1418-შ-44-09

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

განხილვის საგანი: გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #37 F 107/07)

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება #37F 107/07) ჰაიდელბერგში მმაჩის განყოფილების უფროსის მიერ 2005 წლის 14 დეკემბრის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის #0934, შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მომართა ე. ი-ნამ (წარმომადგენელი თ. თ-უა).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის განჩინებით ე. ი-ნას (წარმომადგენელი თ. თ-უა) შუამდგომლობა გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილება #37F 107/07) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეემლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობის თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ შუამდგომლობის, მასზე თანდართული მასალებისა და ზემოაღნიშნული განჩინების ასლები ა. ი-ნას ჩააბარდა, მაგრამ მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. იონას (წარმომადგენელი თ. თ-უა) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება #37F 107/07) ჰაიდელბერგში მმაჩის განყოფილების უფროსის მიერ 2005 წლის 14 დეკემბრის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის #0934, შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #37F 107/07) .

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ი-ნას (წარმომადგენელი თ. თ-უა) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #37F 107/07), რომლითაც ჰაიდელბერგში მმაჩის განყოფილების უფროსის მიერ 2005 წლის 14 დეკემბრის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის #0934, შეწყდა; მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა; სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1841-შ-52-09

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს გ. ც-ურის მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ბ. დ-შვილსა და გ. ც-ურს შორის, 2006 წლის 30 ნოემბრიდან განმცხადებლის სადაზღვევო ანგარიშიდან - #18 180675D 507 (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ობერფრანკენისა და მიტელფრანკენის საპენსიო დაზღვევა) მოპასუხე მხარეს ყოველთვიურად გადაერიცხა საპენსიო თანხა 63,02 ევროს ოდენობით ანგარიშზე #18 170276 თ029 (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰესენის საპენსიო დაზღვევა).

გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ქორწინების ბათილად ცნობისა და საპენსიო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 13 აგვისტოდან.

ბ. დ-შვილის წარმომადგენელმა მ. დ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ბ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ბ. დ-შვილსა და გ. ც-ურს შორის, ასევე განისაზღვრა მხარეთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს. ამდენად, ბ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას შუამდგომლობაში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობისა და მხარეთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის განსაზღვრის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1887-შ-57-09

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ჟ. ს-კამ განცხადებით მიმართა სასამართლოს ი. ს-კას მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენით 2002 წლის 11 აპრილს ქ. ვეცეს მმჩის ბიუროში ნომრით 8/2002 რეგისტრირებული ქორწინება ჟ. ს-კასა და ი. ს-კას შორის შეწყდა, 2007 წლის 27 ივნისს მხარეთათვის დადგენილი საპენსიო წილის რაოდენობა სასამართლოს მიერ იქნა ნებადართული, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფის წილის რაოდენობა არ დაწესებულა.

გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენის თანახმად, მოცემული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 27 ივლისიდან.

ჟ. ს-კას წარმომადგენელმა ა. ბ-ურმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ჟ. ს-კას წარმომადგენელ ა. ბ-ურის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჟ. ს-კას წარმომადგენელ ა. ბ-ურის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენით 2002 წლის 11 აპრილს ქ. ვეცეს მმჩის ბიუროში ნომრით 8/2002 რეგისტრირებული ქორწინება ჟ. ს-კასა და ი. ს-კას შორის შეწყდა, ასევე ნებადართულ იქნა მხარეთა საპენსიო წილის რაოდენობა. განაჩენის თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 27 ივნისს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს. ამდენად, ჟ. ს-კას წარმომადგენელ ა. ბ-ურის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასა-

მართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენის ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას შუამდგომლობაში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჟ. სა-კას წარმომადგენელ ა. ბ-ურის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის, ქ. გელდერნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის განაჩენი, რომლითაც შეწყდა 2002 წლის 11 აპრილს ქ. ვეეცეს მმაჩის ბიუროში ნომრით 8/2002 რეგისტრირებული ქორწინება ჟ. ს-კასა და ი. ს-კას შორის, ასევე ნებადართულ იქნა მხარეთა საპენსიო წილის რაოდენობა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-1497-შ-45-09

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. კ-ოვას შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ვ. კ-ოვის სარჩელის გამო მოპასუხე გ. კ-ოვას მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. კ-ოვამ სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. კ-ოვას მიმართ განქორწინების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1968 წლის 29 დეკემბრიდან მოპასუხესთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში მათ შვილები არ შესძენიათ. მხარეები 1980 წლიდან ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვრობენ. მოსარჩელემ მოითხოვა გ. კ-ოვასთან განქორწინება.

რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - ვ. კ-ოვი და გ. კ-ოვა განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 26 მაისს.

გ. კ-ოვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინებით გ. კ-ოვას შუამდგომლობა, რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოსარჩელე ვ. კ-ოვს. მას გა-
ნემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის წერილობი-
თი გამოხატვის უფლება; შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ
მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობი-
ნებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაჰბარდა 2009 წლის 7 აგვისტოს.

ვ. კ-ოვს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. კ-ოვას შუამდგომლობა უნდა დაკმაყო-
ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. კ-ოვამ სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. კ-ოვას მიმართ განქორწინების თაობაზე. მო-
სარჩელემ მიუთითა, რომ 1968 წლის 29 დეკემბრიდან მოპასუხესთან იმყოფებოდა რეგისტრირე-
ბულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში მათ შვილები არ შესძენიათ. მხარეები 1980
წლიდან ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვრობენ. მოსარჩელემ მოითხოვა გ. კ-ოვასთან განქორწი-
ნება.

რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის
მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -
ვ. კ-ოვი და გ. კ-ოვა განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 26 მაისს.

გ. კ-ოვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაცი-
ის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის მომრიგებელი მოსამარ-
თლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრუ-
ლების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის
68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქა-
ლაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებ-
რივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. კ-ოვას შუამდგომლობა, რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის
მესამე სასამართლოს უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ვ. კ-ოვის მიმართ განქორწინების
თაობაზე დაკმაყოფილდეს;

რუსეთის ფედერაციის ქ. კალინინგრადის ცენტრალური რაიონის მესამე სასამართლოს უზნის
მომრიგებელი მოსამართლის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ოვა და ვ.
კ-ოვი განქორწინდნენ, ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულე-
ბას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1864-შ-54-09

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: გერმანიის ბუდინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2004
წლის 9 სექტემბრის განაჩენის (განაჩენი #54F 1111/03შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და
აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ბუდინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2004 წლის 9 სექტემბრის განაჩენით (განაჩენი #54F 1111/03შ) გედერნის მმჩის განყოფილების მიერ 02.10.2000წ. მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის # 46/2000) დაირღვა; დადგინდა, რომ ქმრის - მ. შ-ერის სადაზღვევო ანგარიშიდან (ფედერალური სადაზღვევო სამსახური მოსამსახურეთათვის, რურშტრასე 2, 10704 ბერლინი-ვილმერსდორფი - 53 171258 შ 025) ცოლის სადაზღვევო ანგარიშზე (ჰესსენის ფედერალური მიწის სადაზღვევო სამსახური, მაინის ფრანკფურტი, 60591 მაინის ფრანკფურტი - 12 280768 შ 660) 31.01.2004-ის საფუძველზე გადაირიცხოს ყოველთვიურად 16,40 ევრო, რომლის გადაანგარიშებაც მოხდეს ანაზღაურების პუნქტების მიხედვით.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მომართა ი. შ-ერმა (წარმომადგენელი ი. ს-ოვი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ი. შ-ერის შუამდგომლობა გერმანიის ბუდინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2004 წლის 9 სექტემბრის განაჩენის (განაჩენი #54F 1111/03შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. შ-ერის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ბუდინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2004 წლის 9 სექტემბრის განაჩენით (განაჩენი #54F 1111/03შ) გედერნის მმჩის განყოფილების მიერ 02.10.2000წ. მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის # 46/2000) დაირღვა; დადგინდა, რომ ქმრის - მ. შ-ერის სადაზღვევო ანგარიშიდან (ფედერალური სადაზღვევო სამსახური მოსამსახურეთათვის, რურშტრასე 2, 10704 ბერლინი-ვილმერსდორფი - 53 171258 შ 025) ცოლის სადაზღვევო ანგარიშზე (ჰესსენის ფედერალური მიწის სადაზღვევო სამსახური, მაინის ფრანკფურტი, 60591 მაინის ფრანკფურტი - 12 280768 შ 660) 31.01.2004-ის საფუძველზე გადაირიცხოს ყოველთვიურად 16,40 ევრო, რომლის გადაანგარიშებაც მოხდეს ანაზღაურების პუნქტების მიხედვით.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამოტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ბუდინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2004 წლის 9 სექტემბრის განაჩენი (განაჩენი #54F 1111/03შ).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. შ-ერის (წარმომადგენელი ი. ს-ოვი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ბუდინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2004 წლის 9 სექტემბრის განაჩენი (განაჩენი #54F 1111/03შ), რომლითაც გედერნის მმჩის განყოფილების მიერ 02.10.2000წ. მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის # 46/2000) დაირღვა; დადგინდა, რომ ქმრის - მ. შ-ერის სადაზღვევო ანგარიშიდან (ფედერალური სადაზღვევო სამსახური მოსამსახურეთათვის, რურშტრასე 2, 10704 ბერლინი-ვილმერსდორფი - 53 171258 შ 025) ცოლის - ი. შ-ერის სადაზღვევო ანგარიშზე (ჰესენის ფედერალური მიწის სადაზღვევო სამსახური, მაინის ფრანკფურტი, 60591 მაინის ფრანკფურტი - 12 280768 შ 660) 31.01.2004-ის საფუძველზე გადაირიცხოს ყოველთვიურად 16,40 ევრო, რომლის გადაანგარიშებაც მოხდეს ანაზღაურების პუნქტების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-ა-1368-შ-43-09

15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ქ. დონის როსტოვის კიროვის რაიონის #2 სასამართლო უზნის მომრიგებელი მოსამართლის ე. ი. ფ-ენკოს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ხ. ბ-იას სარჩელის გამო, მოპასუხე გ. კ-ავას მიმართ, ქორწინების შეწყვეტის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხ. ბ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხის მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე და აღნიშნა, რომ იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუხესთან 1997 წლის 23 მარტიდან, რაზეც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წიგნში გაკეთებულია ჩანაწერი #21. ქორწინების მოწმობა გაცემულია საქართველოს რესპუბლიკის სენაკის მმჩის განყოფილების მიერ. ქორწინების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი - 1995 წლის 18 ნოემბერს დაბადებული ლ. კ-ავა. ცოლქმრული ცხოვრება არ აეწყოთ. 2005 წლიდან მხარეებმა შეწყვიტეს ცოლქმრული ურთიერთობა და საერთო მეურნეობის წარმოება, აღარ ზრუნავენ ერთმანეთზე, ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში.

რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით შეწყდა გ. კ-ავასა და ხ. ბ-იას შორის ქორწინება, რეგისტრირებული 1997 წლის 27 მარტს საქართველოს რესპუბლიკის სენაკის მმჩის განყოფილების მიერ, სააქტო ჩანაწერი #21.

ქ. დონის როსტოვის კიროვის რაიონის #2 სასამართლო უზნის მომრიგებელმა მოსამართლემ ე. ი. ფ-ენკომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ქ. დონის როსტოვის კიროვის რაიონის #2 სასამართლო უზნის მომრიგებელი მოსამართლის ე. ი. ფ-ენკოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით შეწყდა გ. კ-ავასა და ხ. ბ-იას შორის ქორწინება, რეგისტრირებული 1997 წლის 27 მარტს საქართველოს რესპუბლიკის სენაკის მმჩის განყოფილების მიერ, სააქტო ჩანაწერი #21.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ქ რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ქ. დონის როსტოვის კიროვის რაიონის #2 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის ე.ო. ფ-ენკოს შუამდგომლობა ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს:

რუსეთის ფედერაციის ქ. დონის როსტოვის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით შეწყდა გ. კ-ავასა და ხ. ბ-იას შორის ქორწინება, რეგისტრირებული 1997 წლის 27 მარტს საქართველოს რესპუბლიკის სენაკის მმჩის განყოფილების მიერ, სააქტო ჩანაწერი #21, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1930-შ-62-09

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ო-ექმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ი. დ-იანის მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან განქორწინება.

თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. ო-ექი და ი. დ-იანი, სამოქალაქო კოდექსის 166/3 მუხლის თანახმად, განქორწინდნენ.

თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, მხარეებმა სასამართლოში წერილობით განაცხადეს უარი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ანტალიის ცენტრალური მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე ჯ. ო-ექი და ი. დ-იანი განქორწინებული არიან.

ი. დ-იანმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თურქეთის ქ. ანტალიის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ი. დ-იანის შუამდგომლობა თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. დ-იანის შუამდგომლობა თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. ო-ექი და ი. დ-იანი განქორწინდნენ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს. ამდენად, ი. დ-იანის შუამდგომლობა თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას შუამდგომლობაში მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. დ-იანის შუამდგომლობა თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად თურქეთის ქ. ანტალიის მე-5 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ო-ეჟი და ი. დ-იანი განქორწინდნენ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1944-შ-63-09

19 ოქტომბერი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. ე-ძის წარმომადგენლის ლ. კ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ა. ჩ-ანის მიმართ, განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ე-ძის განცხადება ა. ჩ-ანის მიმართ, დაკმაყოფილდა და მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება ჩაითვალა ბათილად.

მ. ე-ძის წარმომადგენელმა ლ. კ-შვილმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ე-ძის წარმომადგენლის ლ. კ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ე-ძის განცხადება ა. ჩ-ანის მიმართ, დაკმაყოფილდა და მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება ჩაითვალა ბათილად.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ე-ძის წარმომადგენლის ლ. კ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

გერმანიის კარლსრუეს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ე-ძის განცხადება ა. ჩ-ანის მიმართ, დაკმაყოფილდა და მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება ჩაითვალა ბათილად, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-2028-შ-69-09

29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ბ. ე-ძის წარმომადგენლის ლ. კ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ლ. ლ-ერთის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 16 ოქტომბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. კარლსრუე-გრიოტცინგენის მმაჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე ლ. ლ-ერთი და საქართველოს მოქალაქე ბ. ე-ძის ქორწინება (ქორწინების მოწმობა #50/03). ბ. ე-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს ლ. ლ-ერთის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები 2007 წლის 1 აგვისტოდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ქორწინების პერიოდში მათ ბავშვები არ შესძენიათ. მოპასუხე თანახმაა განქორწინებაზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბ. ე-ძე და ლ. ლ-ერთი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 29 იანვრიდან.

ბ. ე-ძის წარმომადგენელმა ლ. კ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ბ. ე-ძის წარმომადგენელ ლ. კ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბ. ე-ძის წარმომადგენელ ლ. კ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2003 წლის 16 ოქტომბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. კარლსრუე-გრიოტცინგენის მმაჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე ლ. ლ-ერტი და საქართველოს მოქალაქე ბ. ე-ძის ქორწინება (ქორწინების მოწმობა #50/03). ბ. ე-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს ლ. ლ-ერტის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები 2007 წლის 1 აგვისტოდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ქორწინების პერიოდში მათ ბავშვები არ შესძენიათ. მოპასუხე თანახმაა განქორწინებაზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბ. ე-ძე და ლ. ლ-ერტი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 29 იანვრიდან.

ბ. ე-ძის წარმომადგენელმა ლ. კ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ბ. ე-ძის წარმომადგენელ ლ. კ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. ე-ძის წარმომადგენელ ლ. კ-შვილის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ლ. ლ-ერტის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარლსრუე-დურლახის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ე-ძე და ლ. ლ-ერტი განქორწინდნენ, ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-1910-შ-60-09

6 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ს. ც-შვილის წარმომადგენლის მ. მ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასა-

მართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. კ-აკრის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 1 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის მმჩის ბიურომ #79/2002 საქორწინო აქტების ჩანაწერთ რეგისტრაციაში გაატარა თურქეთის მოქალაქე ა. კ-აკრი და საქართველოს მოქალაქე ს. ც-შვილის ქორწინება. ს. ც-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. კ-აკრის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები 2007 წლის დეკემბრიდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მათი ქორწინება წარუმატებელი გამოდგა. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ს. ც-შვილი და ა. კ-აკრი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 მაისიდან.

ს. ც-შვილის წარმომადგენელმა მ. მ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ს. ც-შვილის წარმომადგენელ მ. მ-შვილის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ს. ც-შვილის წარმომადგენელ მ. მ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2002 წლის 1 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის მმჩის ბიურომ #79/2002 საქორწინო აქტების ჩანაწერთ რეგისტრაციაში გაატარა თურქეთის მოქალაქე ა. კ-აკრი და საქართველოს მოქალაქე ს. ც-შვილის ქორწინება. ს. ც-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. კ-აკრის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები 2007 წლის დეკემბრიდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მათი ქორწინება წარუმატებელი გამოდგა. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ს. ც-შვილი და ა. კ-აკრი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 მაისიდან.

ს. ც-შვილის წარმომადგენელმა მ. მ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ს. ც-შვილის წარმომადგენლის მ. მ-შვილის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ს. ც-შვილის წარმომადგენელ მ. მ-შვილის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ა. კ-აკჩის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. რეგენსბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ც-შვილი და ა. კ-აკჩი განქორწინდნენ, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-2273-შ-74-09

19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ნ-ლეს წარმომადგენლის თ. თ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მ. ნ-ლეს მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. კიოლნის მმაჩის ბიურომ #398/07 საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე მ. ნ-ლესა და საქართველოს მოქალაქე ნ. ნ-ლეს (ქალიშვილობის გვარი თ-შვილი) ქორწინება. მ. ნ-ლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ნ-ლეს მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები 2007 წლის მაისიდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მათი ქორწინება წარუმატებელი გამოდგა. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ნ-ლე და მ. ნ-ლე განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 22 აგვისტოდან.

ნ. ნ-ლეს წარმომადგენელმა თ. თ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ნ. ნ-ლეს წარმომადგენლის თ. თ-შვილის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ნ-ლეს წარმომადგენლის თ. თ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 14 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. კიოლნის მმაჩის ბიურომ #398/07 საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა გერმანიის მოქალაქე მ. ნ-ლესა და საქართველოს მოქალაქე ნ. ნ-ლეს (ქალიშვილობის გვარი თ-შვილი) ქორწინება. მ. ნ-ლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ნ-ლეს მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მხარეები 2007 წლის მაისიდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მათი ქორწინება წარუმატებელი გამოდგა. მოპასუხემ სარჩელი ცნო და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ნ-ლე და მ. ნ-ლე განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 22 აგვისტოდან.

ნ. ნ-ლეს წარმომადგენელმა თ. თ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ნ. ნ-ლეს წარმომადგენლის თ. თ-შვილის შუამდგომლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ნ-ლეს წარმომადგენლის თ. თ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მ. ნ-ლეს მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კიოლნის საუბნო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ნ-ლე და მ. ნ-ლე განქორწინდნენ, ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

ა-2384-შ-80-09

20 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ლ-ურის შუამდგომლობა გერმანიის პასაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ტ. მ-ოვის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის პასაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით 2006 წლის 16 აგვისტოს ქ. თბილისის მმარის ბიუროს განყოფილების გამგის მიერ გ. ლ-ურსა და ტ. მ-ოვს შორის რეგისტრირებული #114173 ქორწინება შეწყდა.

გ. ლ-ურმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის პასაუს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინებით გ. ლ-ურის შუამდგომლობა გერმანიის პასაჟს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნოდარ აჯოიანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის პასაჟს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით 2006 წლის 16 აგვისტოს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროს განყოფილების გამგის მიერ გ. ლ-ურსა და ტ. მ-ოვს შორის რეგისტრირებული #114173 ქორწინება შეწყდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის პასაჟს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ლ-ურის შუამდგომლობა გერმანიის პასაჟს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გერმანიის პასაჟს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც 2006 წლის 16 აგვისტოს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროს განყოფილების გამგის მიერ გ. ლ-ურსა და ტ. მ-ოვს შორის რეგისტრირებული #114173 ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-1900-შ-59-09

24 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების (საქმე # 543 F 9296/08) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე # 543 F 9296/08) ტონდერ/დანის მმაჩის განყოფილების უფროსის მიერ 2004 წლის 2 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი # 3519/2004) შეწყდა, დადგინდა, რომ განმცხადებლის სადაზღვევო ანგარიშიდან 23 240263 P 021, რომელიც აქვს ფედერალური გერმანიის საპენსიო სადაზღვევოში, გადაირიცხოს განმცხადებლის მოწინააღმდეგის სადაზღვევო ანგარიშზე 14 180575 D 513, რომელიც აქვს გერმანიის სამხრეთ ბავარიის საპენსიო სადაზღვევოში პენსიის მიღების უფლებით თვეში 82.41 ევრო, მიღებულია 30.09.2008წ. თვეში პენსიის თანხის მიღების უფლება იანგარიშება ასანაზღაურებელი პუნქტებით. დამატებით განმცხადებლის სადაზღვევო ანგარიშიდან 23 240263 P 021, რომელიც აქვს ფედერალური გერმანიის საპენსიო სადაზღვევოში გადაირიცხოს განმცხადებლის მოწინააღმდეგის სადაზღვევო ანგარიშზე 14 180575 D 513, რომელიც აქვს გერმანიის სამ-

ხრეთ ბავარიის საპენსიო სადაზღვევოში პენსიის მიღების უფლებით თვეში 20.71 ევრო, მიღებულა 30.09.2008წ. თვეში პენსიის თანხის მიღების უფლება იანგარიშება ასანაზღაურებელი პუნქტებით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. დ-იანმა (წარმომადგენელი ლ. დ-იანი), რომელმაც მოითხოვა განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ლ. დ-იანის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ლ. დ-იანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) აქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) ადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება (საქმე # 543 F 9296/08) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. დ-იანის (წარმომადგენელი ლ. დ-იანი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება (საქმე # 543 F 9296/08) იმ ნაწილში, რომლითაც ტონდერ/დანის მმჩის განყოფილების უფროსის მიერ 2004 წლის 2 დეკემბერს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი # 3519/2004) შეწყდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს გ. ც-ურს მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ბ. დ-შვილსა და გ. ც-ურს შორის, 2006 წლის 30 ნოემბრიდან განმცხადებლის სადაზღვევო ანგარიშიდან - #18 180675D 507 (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ობერფრანკენისა და მიტელფრანკენის საპენსიო დაზღვევა) მოპასუხე მხარეს ყოველთვიურად გადაერიცხა საპენსიო თანხა 63,02 ევროს ოდენობით ანგარიშზე #18 170276 თ029 (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰესენის საპენსიო დაზღვევა).

გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ქორწინების ბათილად ცნობისა და საპენსიო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 13 აგვისტოდან.

ბ. დ-შვილის წარმომადგენელმა მ. დ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ცნობილი იქნა საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცა აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ბ. დ-შვილსა და გ. ც-ურს შორის.

2009 წლის 19 ოქტომბერს მ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით და მიუთითა, რომ აღნიშნული განჩინებით საკასაციო სასამართლომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნო და აღსასრულებლად მიაქცია გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება. შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოს მიეწოდა გერმანულენოვანი ორიგინალისა და ნოტარიუს მ. გ-ძის მიერ დამოწმებული ქართული თარგმანის სახით. აღნიშნული თარგმანი შესრულდა თარჯიმანმა ი. მ-ძემ, თუმცა მხარისათვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ გადაწყვეტილების თარგმანში დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, მხარეთა განქორწინების ნაცვლად მიეთითა, რომ ბ. დ-შვილისა და გ. ც-ურს შორის არსებული ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული გარემოების დადასტურების მიზნით მ. დ-შვილმა წარმოადგინა გერმანული ენის თარჯიმანი ირმა მ-ძის წერილობითი განმარტება 2009 წლის 4 აგვისტოს მის მიერ თარგმნილ გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებაში დაშვებული უზუსტობის თაობაზე, ასევე ამ გადაწყვეტილების ხელახალი თარგმანი ქართულ ენაზე სადაც ქორწინების ბათილად ცნობის ნაცვლად მითითებულია მხარეთა შორის განქორწინება, მხარემ დამატებით ასევე წარმოადგინა გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი შესრულებული თარჯიმან ნ. ჯ-ძის მიერ, სადაც ასევე მითითებულია, რომ 1994 წლის 3 დეკემბერს თბილისის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინების მხარეები ჩაითვავენ განქორწინებულად და იშუამდგომლა საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

სამოტოვაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება მხარეთა შორის 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობის ნაწილში და საქმის წარმოება განახლდეს. მოცემული განჩინებით ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება ხ. დ-შვილისა და გ. ც-ურის განქორწინების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლი ადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე მხარის განცხადების განხილვის წესს. დასახელებული ნორმის მესამე ნაწილის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით. ამავე კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, "კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება ხ. დ-შვილისა და გ. ც-ურს შორის, აღნიშნული განჩინების მიღების საფუძველი გახდა შუამდგომლობის ავტორის მიერ სასამართლოსათვის წარმოდგენილი გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების გერმანულენოვანი ორიგინალი და ნოტარიუს მ. გ-ძის მიერ დამოწმებული ამ გადაწყვეტილების ქართული თარგმანი შესრულებული თარჯიმან ი. მ-ძის მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილების (ქართული თარგმანის) სარეზოლუციო ნაწიში მითითებულია არა განქორწინება, არამედ ქორწინების ბათილად ცნობა და საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება შესულია კანონიერ ძალაში.

ხ. დ-შვილის წარმომადგენელმა მ. დ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლო 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. განცხადების დასაბუთების მიზნით მ. დ-შვილმა წარმოადგინა გერმანული ენის თარჯიმან ი. მ-ძის ახსნა განმარტება, რომლის თანახმადაც 2009 წლის 4 აგვისტოს თარგმნილ და ნოტარიუს მ. გ-ძის მიერ დამოწმებულ ხ. დ-შვილისა და გ. ც-ურის განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების თარგმანში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ არასწორად მიეთითა "1994 წლის 03 დეკემბერს თბილისის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების მოწმობა #1678/1994) მხარეთა შორის ჩაითვალოს ბათილად", რის ნაცვლადაც უნდა მითითებულიყო "1994 წლის 03 დეკემბერს თბილისის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინების (ქორწინების მოწმობა #1678/1994) მხარეები ჩაითვალოს განქორწინებულად".

ხ. დ-შვილმა ასევე წარმოადგინა თარჯიმან ი. მ-ძის მიერ შესრულებული და ნოტარიულად დამოწმებული გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების ქართული თარგმანი, სადაც სარეზოლუციო ნაწილში ქორწინების ბათილად ცნობის ნაცვლად მითითებულია განქორწინების თაობაზე. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებაზე დართულია, თარჯიმან ნ. ჯ-ძის მიერ შესრულებული, გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების ქართული თარგმანი საიდანაც ირკვევა, რომ ქ. თბილისში, მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინების მხარეები - ხ. დ-შვილი და გ. ც-ური განქორწინდნენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შესახებაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მითითებული ნორმა ადგენს სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების წესს, რომლის თანახმადაც საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის სასამართლო უნდა დაეყრდნოს მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს რომელთა ანალიზი უნდა მოხდეს ერთობლივი, სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლის საფუძველზე.

განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით გ. ც-ურსა და ხ. დ-შვილს

შორის ქორწინების ბათილად ცნობის ნაწილში გაუქმების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში რომლითაც ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცა აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება ხ. დ-შვილსა და გ. ც-ურს შორის ქ. თბილისის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე და უნდა განახლდეს საქმის წარმოება. ამავე განჩინებით ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება ქ. თბილისის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე 1994 წლის 3 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინების მხარეების - ხ.დ-შვილისა და გ.ც-ურის განქორწინების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მესამე ნაწილით, 431-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ხ. დ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება, ხ. დ-შვილსა და გ. ც-ურს შორის 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ და განახლდეს საქმის წარმოება.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის, ქ. კობურგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც განქორწინდნენ 1994 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მმაჩის ბიუროში 1678/1994 ნომრით რეგისტრირებული მხარეები - ხ. დ-შვილი და გ. ც-ური.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განქორწინება

განჩინება

#ა-2376-შ-78-09

21 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

განხილვის საგანი: გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მოერსის საუბნო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე # 481 F 11/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მოერსის საუბნო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე # 481 F 11/09) მოერსის მმაჩის ბიუროში 2007 წლის 4 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება, ქორწინების მოწმობის #299, ანულირებულ იქნა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მომართა ი. ზ-შვილმა (წარმომადგენელი მ. ზ-შვილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ი. ზ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მოერსის საუბნო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქ-

მე # 481 F 11/09) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. ზ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მოერსის საუბნო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე # 481 F 11/09) მოერსის მმჩის ბიუროში 2007 წლის 4 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება, ქორწინების მოწმობის #299, ანულირებულ იქნა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამომძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მოერსის საუბნო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე # 481 F 11/09) .

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ზ-შვილის (წარმომადგენელი მ. ზ-შვილი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის საოჯახო საქმეთა განმხილველი მოერსის საუბნო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე # 481 F 11/09), რომლითაც მოერსის მმჩის ბიუროში 2007 წლის 4 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება, ქორწინების მოწმობის #299, ანულირებულ იქნა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ალიმენტი

განჩინება

#ა-1824-შ-48-08

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ო. ვ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და გ. ვ-ოვს, დაბადებულს 1972 წლის 23 ნოემბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. რუსთავში, ო. ვ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით შვილის - 1996 წლის 30 ივლისს დაბადებულ ა-ს სარჩოდ 2007 წლის 27 ნოემბრიდან სრულწლოვანების მიღწევამდე; გ. ვ-ოვს ასევე დაეკისრა 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 7.50 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება.

ო. ვ-ოვამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა შუამდგომლობით აღნიშნული გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ხოლო უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონულმა სასამართლომ 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 7.50 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ო. ვ-ოვასა და უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობებისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობების თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობებისა და აღნიშნული განჩინების ასლები გ. ვ-ოვს 2008 წლის 8 ნოემბერს ჩააბარდა, მაგრამ მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ო. ვ-ოვასა და უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ო. ვ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და გ. ვ-ოვს, დაბადებულს 1972 წლის 23 ნოემბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. რუსთავში, ო. ვ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით შვილის - 1996 წლის 30 ივლისს დაბადებულ ა-ს სარჩოდ 2007 წლის 27 ნოემბრიდან სრულწლოვანების მიღწევამდე; გ. ვ-ოვს ასევე დაეკისრა 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 7.50 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთ და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ო. ვ-ოვასა და უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;
2. უკრაინის ქ. კრივოი როგის ჟოვტნევის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ვ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და გ. ვ-ოვს, დაბადებულს 1972 წლის 23 ნოემბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. რუსთავში, ო. ვ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის ოდენობით შვილის - 1996 წლის 30 ივლისს დაბადებულ ა-ს სარჩოდ 2007 წლის 27 ნოემბრიდან სრულწლოვანების მიღწევამდე; გ. ვ-ოვს ასევე დაეკისრა 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 7.50 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

ა-2481-შ-55-08

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. ჩ-შვილისა და უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ-უკის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ გ. ჩ-შვილის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. ჩ-შვილსა (პ-უკს) და გ. ჩ-შვილს შორის 1999 წლის 14 ოქტომბერს ქ. ჟიტომირის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება (საქტო ჩანაწერი #1622) შეწყდა. არასრულწლოვანი შვილები (ჯ. ჩ-შვილი, დაბადებული 1999 წლის 13 იანვარს და ლ. ჩ-შვილი, დაბადებული 2000 წლის 22 მარტს) დატოვებულ იქნენ დედასთან საცხოვრებლად. გ. ჩ-შვილს დაეკისრა განქორწინების მოწმობის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები 17 გრივნის ოდენობით.

გ. ჩ-შვილს დაეკისრა ი. ჩ-შვილის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების (1999 წლის 13 იანვარს დაბადებული ჯ. ჩ-შვილსა და 2000 წლის 22 მარტს დაბადებული ლ. ჩ-შვილის) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ხელფასისა და ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის გადახდა 2008 წლის 13 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვებისათვის საჭირო საარსებო მინიმუმისა თითოეულ ბავშვზე.

გადაწყვეტილება ერთი თვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

გ. ჩ-შვილს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 51 გრივნისა და საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯების გადახდა 7,5 გრივნის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 22 სექტემბერს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ი. ჩ-შვილმა და უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ-უკმა შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ი. ჩ-შვილმა მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის განჩინებით ი. ჩ-შვილისა და უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ-უკის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ჩ-შვილისა და უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ-უკის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. ჩ-შვილსა (პ-უკს) და გ. ჩ-შვილს შორის 1999 წლის 14 ოქტომბერს ქ. ჟიტომირის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი #1622) შეწყდა. არასრულწლოვანი შვილები (1999 წლის 13 იანვარს დაბადებული ჯ. ჩ-შვილი და 2000 წლის 22 მარტს დაბადებული ლ. ჩ-შვილი) დატოვებულ იქნენ დედასთან საცხოვრებლად. გ. ჩ-შვილს დაეკისრა განქორწინების მოწმობის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები 17 გრივნის ოდენობით.

გ. ჩ-შვილს დაეკისრა ი. ჩ-შვილის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების (ჯ. ჩ-შვილი, დაბადებული 1999 წლის 13 იანვარს და ლ. ჩ-შვილი დაბადებული 2000 წლის 22 მარტს) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ხელფასისა და ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის გადახდა 2008 წლის 13 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვებისათვის საჭირო საარსებო მინიმუმისა თითოეულ ბავშვზე.

გადაწყვეტილება ერთი თვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

გ. ჩ-შვილს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 51 გრივნისა და საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯების გადახდა 7,5 გრივნის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 22 სექტემბერს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ი. ჩ-შვილმა და უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ-უკმა შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ი. ჩ-შვილმა მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ჩ-შვილისა და უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ-უკის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ჩ-შვილს დაეკისრა ი. ჩ-შვილის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების (ჯ. ჩ-შვილი, დაბადებული 1999 წლის 13 იანვარს და ლ. ჩ-შვილი დაბადებული 2000 წლის 22 მარტს) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ხელფასისა და ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის გადახდა 2008 წლის 13 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვებისათვის საჭირო საარსებო მინიმუმისა თითოეულ ბავშვზე; გადაწყვეტილება ერთი თვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას; გ. ჩ-შვილს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 51 გრივნისა და საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯების გადახდა 7,5 გრივნის ოდენობით, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

ა-1631-შ-41-08

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. მ-ოვამ განცხადებით მიმართა უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონულ სასამართლოს ა. მ-ოვის მიმართ არასრულწლოვანი შვილის - ა. მ-ოვის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ოვის განცხადება დაკმაყოფილდა, მოპასუხეს 1994 წლის 16 ოქტომბერს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის ა. მ-ოვის სასარგებლოდ ალიმენტის სახით დაეკისრა 1997 წლის 8 აგვისტოდან ყოველთვიურად შემოსავლების 1-4-ის, ასევე, სახელმწიფო ბაჟის - 23,40 რუბლის გადახდა.

ი. მ-ოვამ და უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ. ფ-ოვამ შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინებით უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ. ფ-ოვასა და ი. მ-ოვას შუამდგომლობები 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ. ფ-ოვასა და ი. მ-ოვის შუამდგომლობები უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-ოვს 1994 წლის 16 ოქტომბერს დაბადებული არასრულწლოვანის შვილის - ა. მ-ოვის სასარგებლოდ 1997 წლის 8 აგვისტოდან ყოველთვიურად დაეკისრა ყოველგვარი შემოსავლების 1/4-ის, ასევე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის - 23,40 რუბლის ანაზღაურება.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ.ფ-ოვასა და ი.მ-ოვას შუამდგომლობები უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას უკრაინის ქ. კიევის დნეპრის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 1970 წლის 21 აპრილს დაბადებულ ა. მ-ოვს მცხოვრებს საქართველოში, ბოლნისის რ-ნი, სოფ. ... დაეკისრა 1994 წლის 16 ოქტომბერს დაბადებული უკრაინაში, ქ. კიევში, ... 56, ბინა 46-ში მცხოვრები ა. მ-ოვას სასარგებლოდ ალიმენტის სახით ყოველთვიურად 1997 წლის 8 აგვისტოდან მის სრულწლოვანებამდე ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის, ასევე, სახელმწიფო ბაჟი - 23,40 რუბლი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

ა-2444-შ-16-09

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. ო-ოვასა და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შ-მიცკის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ გ. ფ-მის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ფ-მეს დაეკისრა ი. ო-ოვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების (მ. დაბადებული 1995 წლის 16 იანვარს და თ. დაბადებული 1997 წლის 8 იანვარს) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ხელფასისა და ყველა სახის შემოსავლის 33%-ის გადახდა 2007 წლის 20 დეკემბრიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 162920 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 6800 რუბლის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 31 ოქტომბერს და ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ი. ო-ოვამ და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შ-მიცკიმ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბე-

ლორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით ი. ო-ოვასა და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შ-მიცკის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ო-ოვასა და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შ-მიცკის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ფ-ძეს დაეკისრა ი. ო-ოვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების (მ. დაბადებული 1995 წლის 16 იანვარს და თ. დაბადებული 1997 წლის 8 იანვარს) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ხელფასისა და ყველა სახის შემოსავლის 33%-ის გადახდა 2007 წლის 20 დეკემბრიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 162920 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 6800 რუბლის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 31 ოქტომბერს და ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ი. ო-ოვამ და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შ-მიცკიმ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატამ ცნოს ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ო-ოვასა და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შ-მიცკის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ფ-ძეს დაეკისრა ი. ო-ოვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების (1995 წლის 16 იანვარს დაბადებული მ-ს და 1997 წლის 8 იანვარს დაბადებული თ-ს) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ხელფასისა და ყველა სახის შემოსავლის 33%-ის გადახდა 2007 წლის 20 დეკემბრიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 162920 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 6800 რუბლის ოდენობით, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება ზ. კ-ძეს, დაბადებულს 1957 წლის 3 იანვარს და ი. კ-ძეს (ლ-ოვას), დაბადებულს 1973 წლის 25 ნოემბერს შორის, რეგისტრირებული 1995 წლის 17 მარტს მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის ადმინისტრაციის მმჩის განყოფილების მიერ, სააქტო ჩანაწერით #84, რომლებსაც ჰყავთ ერთი საერთო არასრულწლოვანი შვილი; ზ. კ-ძეს, დაბადებულს 1957 წლის 3 იანვარს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, თიანეთის რაიონში, ი. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1995 წლის 7 ნოემბერს დაბადებული შვილის - მ. კ-ძის სარჩენად ალიმენტის გადახდა ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე ყველა სახის შემოსავლის და სარგებლის 1/4-ის ოდენობით ყოველთვიურად 2008 წლის 21 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე; ზ. კ-ძეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 100 რუბლის გადახდა.

ი. კ-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა შუამდგომლობით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ხოლო რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელმა მოსამართლემ 100 რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით ი. კ-ძისა და რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობებისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობების თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განხილვობდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობებისა და აღნიშნული განჩინების ასლები ზ. კ-ძეს 2009 წლის 21 მარტს ჩაჰბარდა, მაგრამ მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. კ-ძისა და რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება ზ. კ-ძეს, დაბადებულს 1957 წლის 3 იანვარს და ი. კ-ძეს (ლ-ოვას), დაბადებულს 1973 წლის 25 ნოემბერს შორის, რეგისტრირებული 1995 წლის 17 მარტს მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის ადმინისტრაციის მმჩის განყოფილების მიერ, სააქტო ჩანაწერით #84, რომლებსაც ჰყავთ ერთი საერთო არასრულწლოვანი შვილი; ზ. კ-ძეს, დაბადებულს 1957 წლის 3 იანვარს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, თიანეთის რაიონში, ი. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1995 წლის 7 ნოემბერს დაბადებული შვილის - მ. კ-ძის სარჩენად ალიმენტის გადახდა ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე ყველა სახის შემოსავლის და სარგებლის 1/4-ის ოდენობით ყოველთვიურად 2008 წლის 21 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე; ზ. კ-ძეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 100 რუბლის გადახდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტი-

ლების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. კ-ძისა და რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უზნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. რუსეთის ფედერაციის მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის #1 სასამართლო უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ქორწინება ზ. კ-ძეს, დაბადებულს 1957 წლის 3 იანვარს და ი. კ-ძეს (ლ-ოვას), დაბადებულს 1973 წლის 25 ნოემბერს შორის, რეგისტრირებული 1995 წლის 17 მარტს მურმანსკის ოლქის ქ. მონჩეგორსკის ადმინისტრაციის მმარის განყოფილების მიერ, სააქტო ჩანაწერით #84, რომლებსაც ჰყავთ ერთი საერთო არასრულწლოვანი შვილი; ზ. კ-ძეს, დაბადებულს 1957 წლის 3 იანვარს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, თიანეთის რაიონში, ი. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1995 წლის 7 ნოემბერს დაბადებული შვილის - მ. კ-ძის სარჩენად ალიმენტის გადახდა ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე ყველა სახის შემოსავლის და სარგებლის 1/4-ის ოდენობით ყოველთვიურად 2008 წლის 21 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე; ზ. კ-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 100 რუბლის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-492-შ-24-09

13 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-შვილს, დაბადებულს 1963 წლის 21 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თბილისში, ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის სარგებლის 1/2-ის ოდენობით, შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის არანაკლებ 30%-ისა, შვილების - 1995 წლის 17 აგვისტოს დაბადებული გ. ბ-შვილის, 1998 წლის 27 იანვარს დაბადებული დ. ბ-შვილის, 2002 წლის 26 მარტს დაბადებული თ. ბ-შვილის სარჩენად ყოველთვიურად 2008 წლის 18 სექტემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე; სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვიური გადასახდელის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას; გ. ბ-შვილს ასევე დაეკისრა 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 30 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება.

ნ. ბ-შვილმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა შუამდგომლობით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ხოლო უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონულმა სასამართლომ 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 30 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით ნ. ბ-შვილისა და უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შუამდგომლობებისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობების თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობებისა და აღნიშნული განჩინების ასლები გ. ბ-შვილს 2009 წლის 25 მარტს ჩაჰბარდა, მაგრამ მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. ბ-შვილისა და უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-შვილს, დაბადებულს 1963 წლის 21 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თბილისში, ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის სარგებლის 1/2-ის ოდენობით, შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის არანაკლებ 30%-ისა, შვილების - 1995 წლის 17 აგვისტოს დაბადებული გ. ბ-შვილის, 1998 წლის 27 იანვარს დაბადებული დ. ბ-შვილის, 2002 წლის 26 მარტს დაბადებული თ. ბ-შვილის სარჩენად ყოველთვიურად 2008 წლის 18 სექტემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე; სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვიური გადასახდელის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას; გ. ბ-შვილს ასევე დაეკისრა 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 30 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი

ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ბ-შვილისა და უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. უკრაინის შოსტკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ბ-შვილს, დაბადებულს 1963 წლის 21 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. თბილისში, ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის სარგებლის 1/2-ის ოდენობით, შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის არანაკლებ 30%-ისა, შვილების - 1995 წლის 17 აგვისტოს დაბადებული გ. ბ-შვილის, 1998 წლის 27 იანვარს დაბადებული დ. ბ-შვილის, 2002 წლის 26 მარტს დაბადებული თ. ბ-შვილის სარჩენად ყოველთვიურად 2008 წლის 18 სექტემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე; სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვიური გადასახდელის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას; გ. ბ-შვილს ასევე დაეკისრა 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 30 გრივნის ოდენობით საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის ანაზღაურება, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-660-შ-28-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ბ-აკას შუამდგომლობა უკრაინის ქ. სუმის ზარჩინის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ გ. დ-ძის მიმართ ბავშვების სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-აკამ სარჩელით მიმართა უკრაინის ქ. სუმის ზარჩინის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ბავშვების სარჩენად ალიმენტის დაკისრება ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის ოდენობით.

მისი განმარტებით, მოპასუხე არის არასრულწლოვნების: 03.07.92წ. დაბადებულ ე. დ-ძისა და 03.02.2001წ. დაბადებულ გ. დ-ძის მამა, რომელიც დახმარებას არ უწევს მათ რჩენაში.

უკრაინის ქ. სუმის ზარჩინის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-აკას სარჩელი გ. დ-ძის მიმართ, ბავშვების სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.

გ. დ-ძეს დაბადებულს 12.11.66წ. საქართველოს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. . . . , მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. . . . , უმუშევარს, დაეკის-

რა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვნების: 03.07.92წ. დაბადებულ ე. დ-ძისა და 03.02.2001წ. დაბადებულ გ. დ-ძის ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქეთა შემოსავლების დაუბეგრავი მინიმუმისა, ყოველთვიურად ბავშვების სრულწლოვანებამდე, დაკისრების ათვლა დაიწყო 02.12.03 წლიდან და ალიმენტი გადაეხადოს დედას - 09.06.73წ. დაბადებულ ნ. ბ-აკს, ვისთანაც იცხოვრებენ ბავშვები. გ. დ-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 51 გრივნის ოდენობით

ნ. ბ-აკამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ. სუმის ზარეჩნის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ქ. სუმის ზარეჩნის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-აკას სარჩელი გ. დ-ძის მიმართ, ბავშვების სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.

გ. დ-ძეს დაბადებულს 12.11.66წ. საქართველოს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. . . ., მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. . . ., უმუშევარს, დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვნების: 03.07.92წ. დაბადებულ ე. დ-ძისა და 03.02.2001წ. დაბადებულ გ. დ-ძის ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქეთა შემოსავლების დაუბეგრავი მინიმუმისა, ყოველთვიურად ბავშვების სრულწლოვანებამდე, დაკისრების ათვლა დაიწყო 02.12.03 წლიდან და ალიმენტი გადაეხადოს დედას - 09.06.73წ. დაბადებულ ნ. ბ-აკს, ვისთანაც იცხოვრებენ ბავშვები. გ. დ-ძეს ასევე, დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 51 გრივნის ოდენობით

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ქ. სუმის ზარეჩნის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ბ-აკას შუამდგომლობა უკრაინის ქ. სუმის ზარეჩნის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს:

უკრაინის ქ. სუმის ზარეჩნის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. დ-ძეს დაბადებულს 12.11.66წ. საქართველოს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. . . ., მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში, უმუშევარს, დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვნების: 03.07.92წ. დაბადებულ ე. დ-ძისა და 03.02.2001წ. დაბადებულ გ. დ-ძის ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მოქალაქეთა შემოსავლების დაუბეგრავი მინიმუმისა, ყოველთვიურად ბავშვების სრულწლოვანებამდე, დაკისრების ათვლა დაიწყო 02.12.03 წლიდან და ალიმენტი გადაეხადოს დედას - 09.06.73წ. დაბადებულ ნ. ბ-აკს, ვისთანაც იცხოვრებენ ბავშვები. გ. დ-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 51 გრივნის ოდენობით, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ნ. კვანტალიანი,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უცხო ქვეყნის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულება.

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ს-ოვა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ა. შ-შვილთან. ერთად ცხოვრების პერიოდში, 1987 წლის 7 ოქტომბერს, მათ შეეძინათ შვილი დ. ო.ს-ოვა და ა.შ-შვილი განქორწინდნენ 1995 წელს.

ო. ს-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. შ-შვილის მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ იმ საფუძველით, რომ იგი თავს არიდებდა შშობლის მოვალეობას არასრულწლოვანი შვილის რჩენაზე.

სტავროპოლის მხარის კიროვის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ა. შ-შვილს დაეკისრა ალიმენტის გადახდა მისი ყოველთვიური შემოსავლიდან 1\4-ის ოდენობით შვილის - 1987 წ. 7 ოქტომბერს დაბადებული დ-ს სასარგებლოდ მისი სრულწლოვანების მიღწევამდე.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ო. ს-ოვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის განჩინებით ო. ს-ოვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

სტავროპოლის მხარის კიროვის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება ა. შ-შვილისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ, მისი ყოველთვიური შემოსავლიდან 1\4-ის ოდენობით შვილის - 1987 წლის 7 ოქტომბერს დაბადებული დ-ს სასარგებლოდ მისი სრულწლოვანების მიღწევამდე, ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებარა აღსრულებას.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ასლი, უზენაესი სასამართლოს განჩინების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

2009 წლის 2 ივნისს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს მითითებულ განჩინებაზე მოთხოვნისამებრ გაეგზავნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი, რაზედაც ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ვ. გ-შვილმა უზენაეს სასამართლოს მიმართა განცხადებით უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის განჩინების განმარტების მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ ა. შ-შვილის შვილი დ. დაბადებული 1987 წლის 7 ოქტომბერს, დღეის მდგომარეობით არის 21 წლის (სრულწლოვანი) და ალიმენტის მოთხოვნის ვადა ხანდაზმულია თუ არა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი განცხადების საფუძველის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ვ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ზემოხსენებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე სასამართლო გადაწყვეტილება განიმარტოს მისი სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად, იგი მაქსიმალურად გასაგები და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მხარეთათვის და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების სწორად აღსრულებას. ამ-

დენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება ობიექტურად საჭირო და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ან აღმასრულებელი დაასაბუთებს, რომ სხვაგვარად მისი შინაარსი შესაძლოა გაგებულ და შესაბამისად აღსრულებულ იქნას არასწორად.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებულია ნათლად და გარკვევით. ამასთან, გადაწყვეტილების შინაარსის ბუნდოვნად მიჩნევისა და აქედან გამომდინარე მისი აღსრულების გართულების საფუძველებზე ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ვ. გ-შვილს წარმოდგენილ განცხადებაში არ მიუთითებია. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ ა. შ-შვილის შვილი დ. დღეის მდგომარეობით არის 21 წლის (სრულწლოვანი) და ხანდაზმულია თუ არა ალიმენტის მოთხოვნის ვადა, ეს საკითხი საკაცო სასამართლოს განჩინების შესაბამისად გადაწყვეტილების განმარტების საფუძველს არ წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, აღსრულების ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ვ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-659-შ-27-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. გ-იას 1994 წლის 8 სექტემბერს დაბადებული შვილის - ლ. სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის, ასევე, სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვ. ზ-ვამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ვ. გ-იასათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვ. ზ-ვას შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით, რომლითაც ვ. გ-იას საქმის განხილვასთან დაკავშირებით დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის გადახდა, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვ. ზ-ვას შუამდგომლობა ვ. გ-იასათვის

საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის დაკისრების ნაწილში უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის 1994 წლის 8 სექტემბერს დაბადებული შვილის - ლ. სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის, ასევე, სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის გადახდა. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართა უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვ. ზ-ვამ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვ. ზ-ვას შუამდგომლობა ვ. გ-ისათვის უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის დაკისრების ნაწილში ამავე სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვ. ზ-ვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლსკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. გ-ის დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-1340-შ-42-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მშობლის უფლების ჩამორთმევა, ალიმენტისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. კ-ოვას სარჩელი ზ. ჯ-შვილისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე. ჯ-შვილ ზ-ს ჩამოერთვა მშობ-

ლის უფლება 2006 წლის 3 თებერვალს დაბადებული მცირეწლოვანი შვილის - დ. ჯ-შვილზე, მასვე დაეკისრა 2006 წლის 3 თებერვალს დაბადებული დ. ჯ-შვილის მოვლისათვის ალიმენტის - 600 გრივნის გადახდა 2009 წლის 22 იანვრიდან ყოველთვიურად ვ. კ-ოვას სასარგებლოდ, ზ.ჯ-შვილს ასევე დაეკისრა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები - სახელმწიფო ბაჟი - 51 გრივნა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯი - 30 გრივნა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ვ. კ-ოვამ ზ. ჯ-შვილისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ასევე უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. დ-ევმა ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით იმ ნაწილში, რომლითაც ზ.ჯ-შვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით ვ. კ-ოვასა და უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. დ-ევის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე, ალიმენტისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ზ. ჯ-შვილისათვის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა.დ-ევისა და ვ. კ-ოვას შუამდგომლობები ზ. ჯ-შვილისათვის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების - სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნისა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯის - 30 გრივნის, ასევე 2006 წლის 3 თებერვალს დაბადებული შვილის - დ. ჯ-შვილის მოვლისათვის 2009 წლის 22 იანვრიდან შვილის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად ალიმენტის - 600 გრივნის ვ. კ-ოვას სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. კ-ოვას სარჩელი ზ. ჯ-შვილისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე. ზ. ჯ-შვილს ჩამოერთვა მშობლის უფლება 2006 წლის 3 თებერვალს დაბადებული მცირეწლოვანი შვილის - დ. ჯ-შვილზე, მასვე დაეკისრა 2006 წლის 3 თებერვალს დაბადებული დ. ჯ-შვილის მოვლისათვის ალიმენტის - 600 გრივნის გადახდა 2009 წლის 22 იანვრიდან ყოველთვიურად, შვილის სრულწლოვანებამდე, ვ. კ-ოვას სასარგებლოდ, ზ.ჯ-შვილს ასევე დაეკისრა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები - სახელმწიფო ბაჟი - 51 გრივნა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯი - 30 გრივნა. სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის, ასევე, ალიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართეს უკრაინის ქ. დონეცკის კალინინის რაიონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა.დ-ევმა და ვ. კ-ოვამ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს, ამდენად, უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა.დ-ევისა და ვ. კ-ოვას შუამდგომლობები ზ. ჯ-შვილისათვის უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის, სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯის - 30 გრივნის, ასევე, მცირეწლოვანი დ. ჯ-შვილის მიმართ 2009 წლის 22 იანვრიდან შვილის სრულწლოვანებამდე ალიმენტის სახით ყოველთვიურად 600 გრივნის ვ. კ-ოვას სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში უკრაინის,

დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. დ-ვისა და ვ. კ-ოვას შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის, დონეცკის ოლქის, ქ. დონეცკის კალინინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება ზ. ჯ-შვილისათვის სახელმწიფო ბაჟის - 51 გრივნის, სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯის - 30 გრივნისა და მცირეწლოვანი დ. ჯ-შვილის მიმართ 2009 წლის 22 იანვრიდან ალიმენტის სახით ყოველთვიურად 600 გრივნის ვ. კ-ოვას სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

ა-662-შ-30-09

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. დ-ინასა და ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ე.ჩ-აკის შუამდგომლობების დასაშვებობის საკითხი ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ი. დ-ინას სარჩელის გამო მოპასუხე ნ. ე-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. დ-ინამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ე-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი მოპასუხესთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში, 2005 წლის 3 აპრილს, შეეძინათ ქალიშვილი - ვ. ე-ძე. მოპასუხემ მიატოვა, ბავშვი იმყოფება მის (ი. დ-ინას) კმაყოფაზე. იმის გამო, რომ ნ. ე-ძე ბავშვს არანაირ დახმარებას უწევს, მოსარჩელემ მოითხოვა შვილის - ვ. ე-ძის სარჩოდ ალიმენტის დაკისრება.

ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით ი. დ-ინას სარჩელი დაკმაყოფილდა - ნ. ე-ძეს ი. დ-ინას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის - ვ. ე-ძის სარჩოდ, მისი ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით. ალიმენტის გადახდა დაეწყო 2006 წლის 14 აგვისტოს ბავშვის სრულწლოვანებამდე, მაგრამ არანაკლებ ამ ასაკის ბავშვისათვის განსაზღვრული საარსებო მინიმუმის 30%-ისა.

ნ. ე-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლოს მოსაკრებლის - 51 გრივნის, საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის - 7 გრივნისა და 50 კაპიკის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 13 ივლისს.

ი. დ-ინამ და ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე.ჩ-აკმა შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასა-

მართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

შუამდგომლობები და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე ნ. ე-ძეს. მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაჰბარდა 2009 წლის 11 სექტემბერს.

ნ. ე-ძეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. დ-ინასა და ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე.ჩ-აკის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ი. დ-ინამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ე-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი მოპასუხესთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში, 2005 წლის 3 აპრილს შეეძინათ ქალიშვილი - ვ. ე-ძე. მოპასუხემ მიატოვა, ბავშვი იმყოფება მის (ი. დ-ინას) კმაყოფაზე. იმის გამო, რომ ნ. ე-ძე ბავშვს არანაირ დახმარებას უწევს, მოსარჩელემ მოითხოვა შვილის - ვ. ე-ძის სარჩოდ ალიმენტის დაკისრება.

ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით ი. დ-ინას სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ე-ძეს ი. დ-ინას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის - ვ. ე-ძის სარჩოდ, მისი ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით. ალიმენტის გადახდა დაეწყო 2006 წლის 14 აგვისტოს ბავშვის სრულწლოვანებამდე, მაგრამ არანაკლებ ამ ასაკის ბავშვისათვის განსაზღვრული საარსებო მინიმუმის 30%-ისა.

ნ. ე-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლოს მოსაკრებლის - 51 გრინვის, საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის - 7 გრინვისა და 50 კაპიკის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 13 ივლისს.

ი. დ-ინამ და ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე.ჩ-აკმა შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებისა და “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. დ-ინასა და ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე.ჩ-აკმა შუამდგომლობები ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

ქ. პოლტავის კიევის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ე-ძეს დაეკისრა ი. დ-ინას სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა შვილის - ვ. ე-ძის სარჩოდ, მისი ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით 2006 წლის 14 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, მაგრამ არანაკლებ ამ ასაკის ბავშვისათვის განსაზღვრული საარსებო მინიმუმის 30%-ისა, აგრეთვე, სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლოს მოსაკრებლის - 51 გრინვის, საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯის - 7 გრინვისა და 50 კაპიკის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

ა-846-შ-35-09

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. ვ-ევასა და ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის - ვ. ბ-კის შუამდგომლობების დასაშვებობის საკითხი ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ლ. ვ-ევას სარჩელის გამო მოპასუხე ფ. ვ-ევას მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

ლ. ვ-ევამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ფ. ვ-ევას მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხესთან ქორწინების პერიოდში, 2006 წლის 17 აპრილს, შეეძინათ ვაჟიშვილი - რ. შვილი იყო მის კმაყოფაზე, ცოლ-ქმრული ურთიერთობა შეწყვეტილია, მაგრამ მოპასუხეს არ სურს, ნებაყოფლობით გამოეყოს სახსრები შვილის სარჩენად. მოპასუხეს სხვა სააღსრულებო ფურცლებით რაიმეს გადახდა არ აკისრია.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე ფ. ვ-ევასათვის ალიმენტის დაკისრება ყოველთვიურად ყოველნაირი შემოსავლის 25%-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის - რ-ს სარჩენად ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ფ. ვ-ევას ლ. ვ-ევას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის - 2006 წლის 17 აპრილს დაბადებულ რ-ს სარჩენად მისი ყოველგვარი შემოსავლის 25%-ის ოდენობით. ალიმენტის გადახდა დაიწყო 2008 წლის 26 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ამავე გადაწყვეტილებით ფ. ვ-ევას ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 130 580 რუბლის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 10 მარტს.

ლ. ვ-ევამ და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბ-კიმ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბ-კისა და ლ. ვ-ევას შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებამში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბ-კისა და ლ. ვ-ევას შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლ. ვ-ევამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ფ. ვ-ევას მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხესთან ქორწინების პერიოდში, 2006 წლის 17 აპრილს, შეეძინათ ვაჟიშვილი - რ. შვილი იყო მის კმაყოფაზე, ცოლ-ქმრული ურთიერთობა მათ შორის შეწყვეტილია, მაგრამ მოპასუხეს არ სურს, ნებაყოფლობით გამოეყოს სახსრები შვილის სარჩენად. მოპასუხეს სხვა სააღსრულებო ფურცლებით რაიმეს გადახდა არ აკისრია.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე ფ. ვ-ევსათვის ალიმენტის დაკისრება ყოველთვიურად ყოველწლიური შემოსავლის 25%-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის - რ-ს სარჩენად ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ფ. ვ-ევს ლ. ვ-ევსას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის - 2006 წლის 17 აპრილს დაბადებულ რ-ს სარჩენად მისი ყოველწლიური შემოსავლის 25%-ის ოდენობით. ალიმენტის გადახდა დაიწყო 2008 წლის 26 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ამავე გადაწყვეტილებით ფ. ვ-ევს ასევე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 130 580 რუბლის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 10 მარტს.

ლ. ვ-ევამ და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბ-კიმ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ვ-ევსასა და ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბ-კის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის ლუნინეცის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც 2008 წლის 26 მაისიდან ფ. ვ-ევს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილის - 2006 წლის 17 აპრილს დაბადებულ რ-ს სარჩენად მისი ყოველწლიური შემოსავლის 25%-ის ოდენობით, ბავშვის სრულწლოვანებამდე და აგრეთვე სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 130 580 რუბლის გადახდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-1780-შ-49-09

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა - ვ. კ-ოვს, დაბადებულს 1975 წელს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. ბათუმში, ვ. ბ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი, ყველა სახის სარგებლის 1/3-ის ოდენობით ყოველთვიურად, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, შვილების - 2002 წლის 20 აპრილს დაბადებული ვ. კ-ოვის და 2004 წლის 1 დეკემბერს დაბადებული ა. კ-ოვის სარჩენად 2009 წლის 15 აპრილიდან უფროსი შვილის სრულწლოვანებამდე. აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას. ვ. კ-ოვს ასევე დაეკისრა სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ვ. ბ-ავამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა შუამდგომლობით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ხოლო უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონულმა სასამართლომ 51 გრივნის ოდენობით სასამართლო მოსაკრებლის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ვ. ბ-ავასა და უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობებისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მასვე განემართა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო წარმოედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობების თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ შუამდგომლობების, მასზე თანდართული მასალებისა და ზემოაღნიშნული განჩინების ასლები ვ. კ-ოვს ჩააბარდა, მაგრამ მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. ბ-ავასა და უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა - ვ. კ-ოვს, დაბადებულს 1975 წელს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. ბათუმში, ვ. ბ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის სარგებლის 1/3-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, შვილების - 2002 წლის 20 აპრილს დაბადებული ვ. კ-ოვის და 2004 წლის 1 დეკემბერს დაბადებული ა. კ-ოვის სარჩენად 2009 წლის 15 აპრილიდან უფროსი შვილის სრულწლოვანებამდე. აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას. ვ. კ-ოვს ასევე დაეკისრა სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დო-

კუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ბ-ავასა და უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. უკრაინის ქ. ზაპოროჟიეს ლენინის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ბ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა და ვ. კ-ოვს, დაბადებულს 1975 წელს, მცხოვრებს საქართველოში, ქ. ბათუმში, ვ. ბ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის სარგებლის 1/3-ის ოდენობით ყოველთვიურად, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, შვილების - 2002 წლის 20 აპრილს დაბადებული ვ. კ-ოვის და 2004 წლის 1 დეკემბერს დაბადებული ა. კ-ოვის სარჩენად 2009 წლის 15 აპრილიდან უფროსი შვილის სრულწლოვანებამდე; აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას; ვ. კ-ოვს ასევე დაეკისრა სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-2374-შ-77-09

19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ე. რ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი გერმანიის ერფურტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მ. ვ-ერის მიმართ, განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ერფურტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ე. რ-შვილის განცხადება მ. ვ-ერის მიმართ, განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

ე. რ-შვილმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ერფურტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. რ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ერფურტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ე. რ-შვილის განცხადება მ. ვ-ერის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ერფურტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. რ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

გერმანიის ერფურტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ე. რ-შვილის განცხადება მ. ვ-ერის მიმართ, განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-1969-შ-64-09

24 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის ორჯონიკიძის რაიონის #10 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის ორჯონიკიძის რაიონის #10 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. გ-ანის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა - რ. გ-ანს, დაბადებულს 1960 წლის 3 მაისს, მცხოვრებს საქართველოში, მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში, ა. გ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი, ყველა სახის გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/2-ის ოდენობით ყოველთვიურად შვილების: 1985 წლის 7 ივლისს დაბადებული დ. გ-ანის, მცხოვრებს რუსეთში, ტიუმენის ოლქის ქ. სურგუტში, 1993 წლის 12 მაისს დაბადებული გ. გ-ანის, მცხოვრებს საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფელ ..., 1990 წლის 6 თებერვალს დაბადებული დ. გ-ანის, მცხოვრებს საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფელ ..., 1995 წლის 14 აპრილს დაბადებული თ. გ-ანის, მცხოვრებს რუსეთში, ქ. ეკატერინბურგში, სარჩენად 2000 წლის 30 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე; რ. გ-ანს ასევე დაეკისრა 15 რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა; გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყონებლივ აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. გ-ანმა, რომელმაც მოითხოვა ალიმენტის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, ა. გ-ანის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის ორჯონიკიძის რაიონის #10 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; რ. გ-ანს გაეგზავნა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და განემარტა, რომ უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება ა. გ-ანის შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში; მასვე განემარტა, რომ შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო

თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე. რ. გ-ანს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. გ-ანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის ორჯონიკიძის რაიონის #10 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. გ-ანის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რ. გ-ანს, დაბადებულს 1960 წლის 3 მაისს, მცხოვრებს საქართველოში, მესტიის რაიონის სოფელ . . . , ა. გ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/2-ის ოდენობით ყოველთვიურად, შვილების: 1985 წლის 7 ივლისს დაბადებული დ. გ-ანის, მცხოვრები რუსეთში, ტიუმენის ოლქის ქ. სურგუტში, 1993 წლის 12 მაისს დაბადებული გ. გ-ანის, მცხოვრები საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფელ . . . , 1990 წლის 6 თებერვალს დაბადებული დ. გ-ანის, მცხოვრებს საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში, 1995 წლის 14 აპრილს დაბადებული თ. გ-ანის, მცხოვრები რუსეთში, ქ. ეკატერინბურგში, სარჩენად 2000 წლის 30 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე; აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “გ” და “ვ” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც “ა,” “ბ,” “დ,” “ე” და “ზ” ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატამ ცნოს რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის ორჯონიკიძის რაიონის #10 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება რ. გ-ანისათვის ალიმენტის დაკისრებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. გ-ანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის ორჯონიკიძის რაიონის #10 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2003 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ა. გ-ანის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რ. გ-ანს, დაბადებულს 1960 წლის 3 მაისს, მცხოვრებს საქართველოში, მესტიის რაიონის სოფელ . . . , ა. გ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/2-ის ოდენობით ყოველთვიურად, შვილების - 1985 წლის 7 ივლისს დაბადებული დ. გ-ანის, მცხოვრებს რუსეთში, ტიუმენის ოლქის ქ. სურგუტში, 1993 წლის 12 მაისს დაბადებული გ. გ-ანის, მცხოვრები საქართველოში, გარდაბნის

რაიონის სოფელ . . . , 1990 წლის 6 თებერვალს დაბადებული დ. გ-ანის, მცხოვრებს საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფელ . . . , 1995 წლის 14 აპრილს დაბადებული თ. გ-ანის, მცხოვრებს რუსეთში, ქ. ეკატერინბურგში, სარჩენად 2000 წლის 30 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტი

განჩინება

#ა-2391-შ-81-09

7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს სარჩელით მიმართა ე. პ-კომ ი. პ-კოს მიმართ და მოითხოვა 1993 წლის 16 აპრილს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის - ე. პ-კოს რჩენისათვის ალიმენტის - მოპასუხის ყოველგვარი შემოსავლის 1/4-ის დაკისრება.

უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. პ-კოს სარჩელი ი. პ-კოს მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, 1969 წლის 19 მაისს დაბადებულ ი. პ-კოს 1993 წლის 16 აპრილს დაბადებული ე. პ-კოს რჩენისათვის ე. პ-კოს სასარგებლოდ 2007 წლის 23 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ალიმენტი ყოველგვარი შემოსავლების 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ბავშვის ასაკის შესაბამისი საარსებო მინიმუმის 30%-ისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ე. პ-კომ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული, უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებით დასტურდება, რომ ალიმენტის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, მოპასუხე ი. პ-კო ინფორმირებული იყო სასამართლო სხდომის თაობაზე და მასვე ჩაჰზარდა ე.პ-კოს სარჩელის ასლი, ასევე დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 10 სექტემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ე. პ-კოს შუამდგომლობა უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. პ-კოს შუამდგომლობა უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების, რომლითაც 1993 წლის 16 აპრილს დაბადებული ე. პ-კოს რჩენისათვის ე. პ-კოს სასარგებლოდ ი. პ-კოს დაეკისრა ალიმენტი, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით 1969 წლის 19 მაისს დაბადებულ ი. პ-კოს 1993 წლის 16 აპრილს დაბადებული ე. პ-კოს რჩენისათვის, ე. პ-კოს სასარგებლოდ, 2007 წლის 23 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ალიმენტი - ყოველგვარი შემოსავლების 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ბავშვის ასაკის შესაბამისი საარსებო მინიმუმის 30%-ისა. ალი-

მენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართა ე. პ-კომ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს, ამდენად, ე. პ-კოს შუამდგომლობა ი. პ-კოსათვის 1993 წლის 16 აპრილს დაბადებული ე. პ-კოს რჩენისათვის ე. პ-კოს სასარგებლოდ 2007 წლის 23 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე ალიმენტის - ყოველგვარი შემოსავლების 1/4, მაგრამ არანაკლებ ბავშვის ასაკის შესაბამისი საარსებო მინიმუმის 30%-ის დაკისრების თაობაზე უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. პ-კოს შუამდგომლობა ი. პ-კოს მიმართ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკის - ყირიმის წითელგვარდიელთა რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება 1969 წლის 19 მაისს დაბადებულ ი. პ-კოსათვის 1993 წლის 16 აპრილს დაბადებული ე. პ-კოს რჩენისათვის ე. პ-კოს სასარგებლოდ 2007 წლის 23 აგვისტოდან შვილის სრულწლოვანებამდე ალიმენტის - ყოველგვარი შემოსავლების 1/4-ის, მაგრამ არანაკლებ ბავშვის ასაკის შესაბამისი საარსებო მინიმუმის 30%-ის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა

განჩინება

#ა-1671-შ-42-08

5 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა რ. თ-ანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნ. მ-ანის მიმართ, ა. მ-ანის აღსაზრდელად გადაცემის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. თ-ანი და ნ. მ-ანი დაქორწინდნენ 2000 წლის 2 სექტემბერს. ქორწინება რეგისტრირებული იქნა საქართველოში, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ... სასოფლო საბჭოს მიერ. ქორწინების შემდეგ გაემგზავრნენ რუსეთის ფედერაციაში ქალაქ სურგუთში, სადაც 2004 წლის 6 თებერვალს შეემინათ შვილი ა. მ-ანი.

ამ პერიოდისათვის მათი ურთიერთობა მეტად დამაბული იყო, მათ ოჯახში ხშირი იყო დავა და უსიამოვნება, რაც უარყოფით ატმოსფეროს უხდიდა მათ მცირეწლოვან შვილს.

2006 წელს რ. თ-ანი და ნ. მ-ანი დაცილდნენ ერთმანეთს და ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, სხვადასხვა სახელმწიფოში, შუამდგომლობის ავტორი სომხეთში, ხოლო მოპასუხე საქართველოში.

2008 წლის 17 ივნისს მოპასუხე ჩავიდა ქ. ერევანში, მოითხოვა ბავშვის მონახულება და სასე-ირნოდ წაყვანა. ბავშვის დედამ ეჭვის გარეშე მიანდო, ხოლო მამამ დედის თანხმობის გარეშე ბავშვი წამოიყვანა საქართველოში. მან მიმართა სხვადასხვა უფლებამოსილ ორგანოებს, ამ დროის მონაკვეთში მოპასუხემ შეატყობინა ბავშვის დედას, რომ იმყოფება ქ. თბილისში და კვლავ გაუჩი-ნარდა.

რ. თ-ანმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ქორწინების შეწყვეტა მასსა და ნ. მ-ანს შორის, ბავშვის გადაცემა და მოვლა, მზრუნველობა და აღზრდა.

მოპასუხეს სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობა კანონის შესაბამისად, მაგრამ არ გამოცხადდა და არც წერილობითი პასუხი წარუდგენია.

სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რაიონული სასამარ-თლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინებით რ. თ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა. შეწყდა ქორ-წინება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, არასრულწლოვან ა. მ-ანზე შემდგომი მზრუნველობა და მისი აღზრდა გადაეცა დედას რ. თ-ანს.

რ. თ-ანმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სომხეთის რესპუბ-ლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალა-ტის 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით რ. თ-ანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოე-ბაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ რ. თ-ანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყო-ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რა-იონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინებით რ. თ-ანის სარჩელი დაკმაყოფილ-და. შეწყდა ქორწინება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, არასრულწლოვან ა. მ-ანზე შემდგომი მზრუნველობა და მისი აღზრდა გადაეცა დედას რ. თ-ანს.

აღნიშნული სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 5 სექტემბერს და არ აღსრულებულა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახ-მად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამე-წარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინება, რადგან და-ცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

რ. თ-ანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეი-თუნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორია-ზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის არაბკირისა და კანაკერ-ზეითუნის რაიონული სასამარ-თლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განჩინება, რომლითაც შეწყდა ქორწინება მოსარჩელესა და მოპა-სუხეს შორის, არასრულწლოვან ა. მ-ანზე შემდგომი მზრუნველობა და მისი აღზრდა გადაეცა დედას რ. თ-ანს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება

განჩინება

#ა-1070-შ-28-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ა-ანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის, ტავუშის გუბერნიის საერთო უფლებამოსილების სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურების მოთხოვნის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა-ანმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება იმისა, რომ ს. ბ-ანის (ავალიანის) სახელზე გაცემული ქორწინების მოწმობა ეკუთვნის მას - ა. ა-ანს.

მისი განმარტებით, 1934 წლის 11 ივნისს დაიბადა შამშადინის რაიონის სოფელ ... და დაბადების მოწმობაში უწერია ა. ბ-ანი. 1956 წლის 18 აპრილს რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა ა. ა-ანთან და მიეკუთვნა გვარი ა-ნი. ამჟამად პასპორტის მიხედვით სახელი და გვარი უწერია ა. ა-ანი. ახლობლებში მას იხსენიებდნენ სახელით "ს.", რის შედეგადაც ქორწინების მოწმობაში მისი სახელი ჩაიწერა "ს.". შეცდომის გასწორების მიზნით მიმართა მმართველს განყოფილებას, მაგრამ სიტყვიერი უარი მიიღო.

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის გუბერნიის საერთო უფლებამოსილების სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა - დადასტურდა, რომ ს. ბ-ანის (ა-ანის) სახელზე 1961 წლის 17 ივნისს გაცემული #057046 ქორწინების მოწმობა ეკუთვნის ა. ა-ანს.

ა. ა-ანმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის გუბერნიის საერთო უფლებამოსილების სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით ა. ა-ანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის გუბერნიის საერთო უფლებამოსილების სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების ჩანაწერში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შესაცვლელი ჩანაწერის არსებობის მიხედვით. განმცხადებელს შეცვლილი ჩანაწერის საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცემა სამოქალაქო აქტის შესაბამისი ახალი მოწმობა.

ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზედაც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული ნორმების თანახმად, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა აქტების შეცვლის კომპეტენცია სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს არ გააჩნიათ. ასეთი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

“სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ” მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის “დ” პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად ან მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, იმ ხელშემკვერელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

ზემოთხსენებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-სამე ნაწილით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ა-ანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის გუბერნიის საერთო უფლებამოსილების სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება

განჩინება

#ა-ა-372-შ-18-09

21 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. ბ-ოვას წარმომადგენლის დ. ჩ-ოვის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადის ცენტრალური რაიონის სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. ბ-ოვამ და მოითხოვა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენა.

მ. ბ-ოვასა და მის დედას - თ. ბ-ოვას, აგრეთვე, მამას - მ. ბ-ოვს შორის ნათესაური ურთიერთობის ფაქტის დადგენას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის დაბადების მოწმობასა და სხვა დოკუმენტებში შშობლების გვარის, სახელის, მამის სახელის დაწერილობაში დაშვებულია შეცდომები. ამ ფაქტის დადგენა აუცილებელია განმცხადებლისათვის მოსკოვში საბერძნეთის რესპუბლიკის საკონსულოში მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით მიმართვისათვის.

რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-ოვას განცხადება დაკმაყოფილდა. დადგენილია, რომ 04.07.1964 წელს დაბადებული მ. ბ-ოვას დედა არის თ. ბ-ოვა, დაბადებული 1936 წელს, აგრეთვე, დადგენილია, რომ 04.07.1964 წელს დაბადებული მ. ბ-ოვას მამა არის მ. ბ-ოვი, დაბადებული 1937 წელს.

მ. ბ-ოვას წარმომადგენელმა დ. ჩ-ოვიმ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინებით მ. ბ-ოვას წარმომადგენლის დ. ჩ-ოვის შუამდგომლობა

რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, მ. ბ-ოვას წარმომადგენლის დ. ჩ-ოვის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

“სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის 110-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილებების შეტანას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შესაცვლელი ჩანაწერის არსებობის ადგილის მიხედვით. განმცხადებელს შეცვლილი ჩანაწერის საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცემა სამოქალაქო აქტის შესაბამისი ახალი მოწმობა.

ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზედაც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული ნორმების თანახმად, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა აქტების შეცვლის კომპეტენცია სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს არ გააჩნიათ. ასეთი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

“სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ” მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის “დ” პუნქტის თანახმად გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ან მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, იმ ხელშეკრული მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

ზემოთმითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე მუხლით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ბ-ოვას წარმომადგენლის დ. ჩ-ოვის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ვოლგოგრადის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება

განჩინება

#ა-476-შ-22-09

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სახელისა და გვარის შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცდა 1974 წლის 6 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. სოხუმში დაბადებული, გ. გ-ავას პეტიცია სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც გ.გ-ავას მიენიჭა უფლება ჰქონდეს სახელი და გვარი - ჯ. კ-ელი. აღნიშნული ბრძანება კანონიერ ძალაში შევიდა დაუყოვნებლივ.

გ. გ-ავას წარმომადგენელმა გ. ც-ავამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მარტის განჩინებით გ. გ-ავას წარმომადგენელ გ. ც-ავას შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. გ-ავას წარმომადგენელ გ. ც-ავას შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცდა 1974 წლის 6 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. სოხუმში დაბადებული, გ. გ-ავას პეტიცია სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც გ.გ-ავას მიენიჭა უფლება ჰქონდეს სახელი და გვარი - ჯ. კ-ელი.

ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანების თანახმად, განსახილველი ბრძანება კანონიერ ძალაში შევიდა დაუყოვნებლივ - 2006 წლის 20 ნოემბერს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. გ-ავას წარმომადგენელ გ. ც-ავას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანება, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა 1974 წლის 6 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. სოხუმში დაბადებული, გ. გ-ავას პეტიცია სახელის შეცვლასთან დაკავშირებით და გ.გ-ავას მიენიჭა უფლება ჰქონდეს სახელი და გვარი - ჯ. კ-ელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება

განჩინება

#ა-842-შ-34-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის არაგაწის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ე-იანის წარმომადგენელ ხ. ე-იანის განცხადება დაკმაყოფილდა: დამტკიცებულად იქნა ცნობილი, რომ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული არქივის მიერ 2007 წლის 10 მაისს გაცემული საარქივო ცნობა - აპარანის რაიონის სოფელ გულუჯას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნში 1923 წლის 20 ივლისს დაბადების რეგისტრაციის შესახებ, სადაც, როგორც მამა, რეგისტრირებულია "ბ. ე-იანი", ეკუთვნის ა. ე-იანს; დამტკიცდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამისამართო-საინფორმაციო ბიუროს მიერ 2007 წლის 19 ნოემბერს ბ. ე-იანის სახელზე გაცემული ცნობა ეკუთვნის ა. ე-იანის ქმრის - ლ. ე-იანის მამას - ბ. ე-იანს.

ა. ე-იანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინებით ა. ე-იანის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ე-იანის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

"სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ" მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებათა ცნობასა და მათი აღსრულების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში - იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

"სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებასა და ცვლილებების შეტანაზე კომპეტენტურ ორგანოს, კერძოდ, დასახელებული კანონის 110-ე მუხლი სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილების შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შესაცვლელი ჩანაწერის ადგილის მიხედვით. რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას, აღნიშნული კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი; უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს.

ამდენად, კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება და სხვა სახელმწიფოს ორგანოებს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნიათ და პირიქით, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სახელმწიფო ორგანოები არ ახდენენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის ზემომითითებული ნორმებით დადგენილი დანაწესები ასევე ვრცელდება იურიდიული ფაქტების დადგენასთან მიმართებით სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, რამდენადაც უცხო სახელმწიფოს, ისევე როგორც საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებებით დადასტურებული იურიდიული ფაქტები აუცილებელ შედეგობრივ კავშირშია სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სააქტო ჩანაწერებში შესწორებასა თუ ცვლილების შეტანასთან. აღნიშნული, თავის მხრივ, უკავშირდება "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ" მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის ზემომითითებულ მოთხოვნას.

ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანი უნდა იყოს გამოკვეთილი და დასაბუთებული, იმავდროულად, აღნიშნული მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური. სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლომ ასევე უნდა გაარკვიოს, ხომ არ არსებობს დავა და საკითხი გადაწყვეტას სასარჩელო წარმოების წესით ხომ არ ექვემდებარება.

მოცემულ შემთხვევაში სომხეთის რესპუბლიკის არაგაცის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომლის ცნობასა და აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, დადგინდა, ერთი მხრივ, სომხეთის რესპუბლიკის არქივის 10.05.2007წ. #ნ-21 საარქივო ცნობის, მეორე მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს 19.11.2007წ. ცნობის კონკრეტული პირისადმი კუთვნილების ფაქტი. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ განმცხადებლის განმარტებით, მას ამ ფაქტის დადგენა სჭირდება მემკვიდრეობის მისაღებად. გადაწყვეტილებაში დასაბუთებული არ არის, რომ აღნიშნული საკითხი (მემკვიდრეობის საკითხი) სადავო არ არის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ვერ დაექვემდებარება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში უცხო ქვეყნის სასამართლოს არ გააჩნდა კომპეტენცია, გადაეწყვიტა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს) მიერ გაცემული დოკუმენტის კონკრეტული პირისადმი კუთვნილება. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის საარქივო ცნობის (დაბადების რეგისტრაციის ჩანაწერში რეგისტრირებული პირის შესახებ) კონკრეტული პირისადმი კუთვნილების დადგენას, ამ ნაწილში გადაწყვეტილება ასევე არ არის აღსრულებადი საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენადაც მის საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელი ორგანოს სააქტო ჩანაწერში ცვლილება ვერ განხორციელდება. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში არც ის საკითხია გარკვეული, იურიდიული ფაქტის დადგენის მიზნიდან გამომდინარე (სამკვიდროს მიღება), მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა არის თუ არა სადავო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, 64-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ე-იანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის არაგაცის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინება

ა-895-შ-36-09

30 სექტემბერი, 2009 წ. , ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ა-იანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ა-იანის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა და 1980 წლის 1 მაისს გარდაცვლილი ა. ა-იანი აღიარებულ იქნა გ. (ჟ.) ა-იანის მშობელ მამად.

გ. ა-იანმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განჩინებით გ. ა-იანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ა-იანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ა-იანის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა და 1980 წლის 1 მაისს გარდაცვლილი ა. ა-იანი აღიარებულ იქნა გ. (ჟ.) ა-იანის მშობელ მამად.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ა-იანის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

სომხეთის რესპუბლიკის არაგაწოტნის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ა-იანის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა და 1980 წლის 1 მაისს გარდაცვლილი ა. ა-იანი აღიარებულ იქნა გ. (ჟ.) ა-იანის მშობელ მამად, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ა-იანის წარმომადგენლის გ. ზ-იას შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს განცხადებით მიმართა ა. ა-იანმა და მოითხოვა ნათესაური კავშირის დადგენა.

ა. ა-იანის განმარტებით მისი ბაბუა გ. ა-ოვი გარდაიცვალა 14.05.1980 წ, ხოლო მისი პაპის ძმა - ი. ა-ოვი გარდაიცვალა 1975 წლის 18 ნოემბერს. დასაფლავების ხარჯები გადაიხადა ა. ა-იანმა. მან მიმართა სანოტარი ბიუროს, როგორც მემკვიდრე, სამემკვიდრეო ქონების მიღების მიზნით, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მისი პაპის და პაპის ძმის ნათესაური კავშირის დამამტკიცებელი საბუთების არარსებობის გამო.

სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით ა. ა-იანის განცხადება დაკმაყოფილდა. აღიარებული იქნა, რომ 1912 წ. დაბადებული გ. ა-ოვი გარდაცვლილი 14.05.1980 წ.-ს და 16.04.1898 წ. დაბადებული, აწ გარდაცვლილი ი. ა-ოვი, გარდაცვლილი 18.11.1975 წ. იყვნენ მკვიდრი ძმები.

ა. ა-იანის წარმომადგენელმა გ. ზ-იამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა შუამდგომლობა და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება კი ხდება იმ შემთხვევაში თუ არსებობდა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობა. საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან საქმე გვაქვს მაშინ როდესაც: ა) ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია; ბ) ასეთი ურთიერთობის ობიექტი არის ნივთი, რომელიც უცხოეთში იმყოფება; გ) იურიდიულ ფაქტს, რომელიც იწვევს სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას ადგილი ჰქონდა უცხოეთში.

ამრიგად, იმისათვის, რომ მოხდეს უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება აუცილებელია არსებობდეს ზემოთ აღნიშნული პირობები და ამასთან ეს ურთიერთობა უნდა იყოს სამოქალაქო სამართლებრივი.

საერთაშორისო კერძო სამართალი მოიცავს ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება განვსაზღვროთ თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილია იურიდიული ფაქტი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და არ არის მითითებული იმ ნიშნებზე, რის საფუძველზეც განსახილველი საკითხი შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართლებრივად. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული ნათესაური კავშირის მქონე პირთა მოქალაქეობა, მათი გარდაცვალების ადგილი და სხვა საკითხები, რაც გამორიცხავს საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას ამ საკითხთან მიმართებაში, ან პირიქით საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ანუ არ არის მითითებული ის გარემოებები, რაც გამორიცხავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების არსებობას.

აღნიშნული ნორმის თანახმად საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებას თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება ან უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, კომპეტენტურად არ ითვლება. სასამართლოში წარმოდგენილი გა-

დაწვევებიდან კი შეუძლებელია მსჯელობა იმაზე იყო, თუ არა კომპეტენტური სომხეთის სასამართლო მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ საერთოდ გაუგებარია განეკუთვნება თუ არა მოცემული ურთიერთობა საერთაშორისო კერძო სამართლებრივს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ა-იანის წარმომადგენლის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სესხის ხელშეკრულება; ვალის გადახდევინება

განჩინება

#ა-574-შ-22-08

9 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

განხილვის საგანი: რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. კ-ძეს ფ. დ-ნას სასარგებლოდ დაეკისრა 180000 რუსული რუბლის ოდენობით სესხისა და 1000 რუსული რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით მ. კ-ძეს დაეკისრა 2400 რუსული რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2007 წლის 19 სექტემბერს ფ. დ-ნამ რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტრომ 2007 წლის 21 დეკემბერს მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის საფუძველზე ფ. დ-ნას შუამდგომლობის კომპეტენტური სასამართლოსათვის გადაცემა მოითხოვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2008 წლის 14 მარტის #01/23/03-1937 მომართვის საფუძველზე შუამდგომლობა და თანდართული მასალები, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით ფ. დ-ნას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. მ. კ-ძეს გაეგზავნა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ამასთან, განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეეძლო

მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობისა და აღნიშნული განჩინების ასლები მოპასუხე მ. კ-ძეს გაეგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე - ქ. თბილისი, ... ქ. #46, ბინა #5, მაგრამ ადრესატს ვერ ჩაჰპარდა იმ მიზეზით, რომ იგი, მისი ნათესავის განმარტებით, აღნიშნულ მისამართზე 10 წელია აღარ ცხოვრობდა და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო.

მ. კ-ძის სხვა მისამართზე რეგისტრაციის ფაქტის დადგენის მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროსადმი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 3 აპრილის მიმართვის პასუხად მიღებული 2008 წლის 4 აპრილის წერილის თანახმად, მ. კ-ძეზე საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს კარტოთეკაში ცნობა არ აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 1 მაისს მიღებულ იქნა განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომლითაც მ. კ-ძეს ეცნობა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა ფ. დ-ნას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით მიღებულ იქნა წარმოებაში. მ. კ-ძეს ასევე ეცნობა, რომ მას უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება ფ. დ-ნას შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში. მასვე განემარტა, რომ შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. დადგინდა განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" და განიმარტა, რომ აღნიშნული განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინება ჩაითვლებოდა მ. კ-ძისათვის ჩაბარებულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინება გამოქვეყნდა გაზეთ "24 საათის" 2008 წლის 16 მაისის ნომერში (#108 (1852), პარასკევი). მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ფ. დ-ნას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. კ-ძეს ფ. დ-ნას სასარგებლოდ დაეკისრა 180000 რუსული რუბლის ოდენობით სესხისა და 1000 რუსული რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით მ. კ-ძეს დაეკისრა 2400 რუსული რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის სასარგებლოდ.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთ და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს. დაცულია "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993

წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის "ე" პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. კ-ძისათვის ფ. დ-ნას სასარგებლოდ 180000 რუსული რუბლის ოდენობით სესხისა და 1000 რუსული რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ფ. დ-ნას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. რუსეთის ფედერაციის ქ. პერმის ინდუსტრიული რაიონის სასამართლოს 2006 წლის 3 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ძეს ფ. დ-ნას სასარგებლოდ დაეკისრა 180000 რუსული რუბლის ოდენობით სესხისა და 1000 რუსული რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სესხის ხელშეკრულება; ვალის გადახდევინება

განჩინება

ა-1243-შ-36-08

1 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-ვამ სარჩელი აღძრა რუსეთის ფედერაციის გოროდეცის რაიონულ სასამართლოში ლ. გ-იას მიმართ და მოითხოვა სესხის ძირითადი თანხისა და მოპასუხისათვის მისი პროცენტის დაკისრება.

მოპასუხის მხრიდან სარჩელის უარყოფას ადგილი არ ჰქონია.

რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ლ. გ-იას გ. კ-ვას სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის - 4920 აშშ დოლარის, მიყენებული ზიანის - 144500,40 რუსული რუბლის, გადაცდენილი დროისათვის - 131455,22 რუსული რუბლისა და სახელმწიფო ბაჟის - 4369 რუსული რუბლის გადახდა.

გ. კ-ვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 ივნისის განჩინებით გ. კ-ვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. გ-იას გ. კ-ვას სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის - 4920 აშშ დოლარის, მიყენებული ზიანის - 144500,40 რუსული რუბლისა და გადაცდენილი დროისათვის - 131455,22 რუსული რუბლისა გადახდა, ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებარა აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 19 ივნისის განჩინების საფუძველზე 2008 წლის 26 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნდა უზენაეს სასამართლოს აღსრულებელი იმ მოტივით, რომ სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიას არ განეკუთვნება ოჩამჩირის რაიონი.

რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რასაც დაურთო რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინება ამავე სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ.

რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით გასწორდა 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ: 1960 წელს დაბადებულ ლ. გ-იას, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ... რეგისტრირებულს, დროებით გადაადგილებულს, ამჟამად ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ... ქ. #14-ში მცხოვრებს, დაეკისრა 1955 წლის 9 მარტს დაბადებულ, ნიჟეგოროდის ოლქის, ... ქ. #50-ის, ბინა #18-ში მცხოვრებ გ. კ-ვას სასარგებლოდ 144500 რუსული რუბლის და 40 კაპიკის, ასევე გადაცდენილი დროისათვის 4920 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლის, პროცენტის - 131455 რუბლისა და ასევე ვალის სრულად დაფარვამდე 25%-ის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინება ამავე სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით გასწორდა 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის, კერძოდ: 1960 წელს დაბადებულ ლ. გ-იას, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ... რეგისტრირებულს, დროებით გადაადგილებულს, ამჟამად ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ... ქ. #14-ში მცხოვრებს, დაეკისრა 1955 წლის 9 მარტს დაბადებულ ნიჟეგოროდის ოლქის, ... ქ. კორპუსი #50-ის, ბინა #18-ში მცხოვრებ გ. კ-ვას სასარგებლოდ 144500 რუსული რუბლისა და 40 კაპიკის, ასევე, გადაცდენილი დროისათვის 4920 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლის, პროცენტის - 131455 რუბლისა და ასევე ვალის სრულად დაფარვამდე 25 %-ის გადახდა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინება ამავე სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის გოროდეცის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით გასწორებული უსწორობა ამავე სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, რომლითაც 1960 წელს დაბადებულ ლ. გ-ის, რეგისტრირებულს ოჩამჩირის რაიონის სოფელ . . . , დროებით გადაადგილებულს, ამაჟამად ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, . . . ქ. #14-ში მცხოვრებს, დაეკისრა 1955 წლის 9 მარტს დაბადებულ ნიჟეგოროდის ოლქის, . . . ქ. #50-ის, ბინა #18-ში მცხოვრებ გ. კ-ვას სასარგებლოდ 144500,40 რუსული რუბლის, ასევე, გადაცენილი დროისათვის 4920 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლის, პროცენტის 131455 რუბლისა და, ასევე, ვალის სრულად დაფარვამდე 25%-ის გადახდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. თანხის გადახდევინება; ჯარიმა

ჯარიმა

განჩინება

#ა-2139-შ-66-07

17 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენით ზ. გ-მე უკრაინის სსკ-ის 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 309-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-15 ნაწილის მე-2 პუნქტით, 69-ე მუხლით ცნობილ იქნა დამნაშავედ, ზ. გ-მეს დაეკისრა ჯარიმა 17000 გრივნისა და 8000 გრივნის ოდენობით კონფისკაციის გარეშე. ავტომობილი "მერსედეს ბენცი", რომელშიც ზ. გ-მე ინახავდა ნარკოტიკულ ნივთიერებას, გადაყვანილ იქნა ოდესის ოლქის ავტოსადგომზე და განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ დაუბრუნდება ქართულ ფირმას. ზ. გ-მეს დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 2318 გრივნისა და 24 კაპიკის ოდენობით.

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 1 სექტემბერს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კ. ვერგოპულომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენის, ჯარიმის - 17000 გრივნისა და სასამართლო ხარჯების - 2318, 24 გრივნის ნაწილში, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კ. ვერგოპულოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენით ზ. გ-მე უკრაინის სსკ-ის 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 309-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-15 ნაწილის მე-2 პუნქტით, 69-ე მუხლით ცნობილ იქნა დამნაშავედ და დაეკისრა ჯარიმა 17000 გრივნისა და 8000 გრივნის ოდენობით კონფისკაციის გარეშე. ავტომობილი "მერსედეს ბენცი", რომელშიც ზ. გ-მე ინახავდა ნარკოტიკულ ნივთიერებას, გადაყვანილ იქნა ოდესის ოლქის ავტოსადგომზე. ზ. გ-მეს დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 2318 გრივნისა და 24 კაპიკის ოდენობით.

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 1 სექტემბერს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კ. ვ-ლომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენის, ჯარიმის - 17000 გრივნისა და სასამართლო ხარჯების - 2318, 24 გრივნის ნაწილში, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კ. ვ-ლოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს, ცნობილ იქნეს უკრაინის, ოდესის ოლქის ილიჩევსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს განაჩენი, რომლითაც ზ. გ-მეს დაეკისრა ჯარიმის - 17000 გრივნისა და სასამართლო ხარჯების - 2318, 24 გრივნის გადახდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ვ-120-შ-18-08

14 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კომუნალური დაწესებულება ავიაკომპანია “დონბასაეროს” გენერალური დირექტორის - ა. გ-კოს შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე - კომუნალური დაწესებულება “ავიაკომპანია “დონბასაეროს” სარჩელის გამო მოპასუხე შპს სააგენტო ქსელის - “გეო გლობეს” მიმართ თანხების დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კომუნალურმა დაწესებულებმა ავიაკომპანია “დონბასაერომ” სარჩელი აღძრა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოში შპს სააგენტო ქსელის - “გეო გლობეს” მიმართ თანხების დაკისრების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით შპს სააგენტო ქსელის “გეო გლობეს” დაევალა დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს კომუნალურ საწარმო “ავიაკომპანია “დონბასაეროს” ძირითადი ვალი 7290,52 აშშ დოლარი, ფულადი სახსრების ჩა-

რიცხვის ვადის გადაცილებისთვის ჯარიმა - 2150,40 აშშ დოლარი, დავალიანება, წლიური 3%-ის გათვალისწინებით, 58,92 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრების ხარჯების ასანაზღაურებლად - 1375,92 აშშ დოლარი, სულ - 10875,76 აშშ დოლარი და 76 ცენტი. მოსარჩელეს სარჩელის დანარჩენ ნაწილის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

2008 წლის 7 თებერვალს კომუნალური დაწესებულება ავიაკომპანია "დონბასაეროს" გენერალურმა დირექტორმა ა. გ-კომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა არბიტრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერისთანავე, 2007 წლის 10 ივლისს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 თებერვლის განჩინებით კომუნალური დაწესებულება ავიაკომპანია "დონბასაეროს" გენერალურ დირექტორ ა. გ-კოს შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს. მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაბარდა 2008 წლის 7 მარტს.

მოპასუხე მხარეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, კომუნალური დაწესებულება ავიაკომპანია "დონბასაეროს" გენერალური დირექტორის - ა. გ-კოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კომუნალურმა დაწესებულებამ ავიაკომპანია "დონბასაერომ" სარჩელი აღძრა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოში შპს სააგენტო ქსელის - "გეო გლობეს" მიმართ თანხების დაკისრების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით შპს სააგენტო ქსელის "გეო გლობეს" დაევალა დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს კომუნალურ საწარმო "ავიაკომპანია "დონბასაეროს" ძირითადი ვალი - 7290,52 აშშ დოლარი, ფულადი სახსრების ჩარიცხვის ვადის გადაცილებისთვის ჯარიმა - 2150,40 აშშ დოლარი, დავალიანება წლიური 3%-ის გათვალისწინებით - 58,92 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრების ხარჯების ასანაზღაურებლად - 1375,92 აშშ დოლარი, სულ - 10875,76 აშშ დოლარი და 76 ცენტი. მოსარჩელეს სარჩელის დანარჩენ ნაწილის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა არბიტრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერისთანავე, 2007 წლის 10 ივლისს.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებისა და "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კომუნალური დაწესებულება ავიაკომპანია "დონბასაეროს" გენერალური დირექტორის - ა. გ-კოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს სააგენტო ქსელის "გეო გლობეს" დაევალა დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს კომუნალურ საწარმო "ავიაკომპანია "დონბასაეროს" ძირითადი ვალი - 7290,52 აშშ დოლარი, ფულადი სახსრების ჩარიცხვის ვადის გადაცილებისთვის ჯარიმა - 2150,40 აშშ დოლარი, დავალიანება წლიური 3%-ის გათვალისწინებით - 58,92 აშშ დოლარი, საარბიტრაჟო მოსაკრებების ხარჯების ასანაზღაურებლად - 1375,92 აშშ დოლარი, სულ - 10875,76 აშშ დოლარი და 76 ცენტი, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული განჩინების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-2168-შ-66-07

17 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ჯარიმის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით, საბაჟო წესების დარღვევის გამო, ა. კ-ანს, საბაჟო კოდექსის თანახმად, დაეკისრა ჯარიმის გადახდა, ვინაიდან ა. კ-ანს არ ჰქონდა დეკლარირებული საბაჟოზე გადასატანი ტვირთი.

შუამდგომლობაში წარმოდგენილი ცნობების თანახმად, ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.

ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ედ. ა-ანმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ედ. ა-ანის შუამდგომლობა ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, შუამდგომლობა და თანდართული მასალები გაეგზავნა ა. კ-ანს იმ მისამართზე, რომელიც მითითებული იყო შუამდგომლობის მასალებში, კერძოდ, ქ. თბილისი, ... ქ. #82-ში, მოცემულ მისამართზე გაგზავნილი წერილი დაბრუნდა სასამართლოში საფოსტო შეტყობინებით რომ მითითებული მისამართი არ არსებობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ედ. ა-ანის შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ედ. ა-ანის შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ედ. ა-ანის შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა

10 დღის ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ ა. კ-ანის ზუსტი მისამართის ცნობის წარმოსადგენად.

საფოსტო შეტყობინების თანახმად, ედ. ა-ანის სახელზე გაგზავნილი გზავნილი ადრესატს ჩაკბარდა პირადად 2008 წლის 29 თებერვალს, მაგრამ შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია.

ზემოაღნიშნული შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველია, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ედ. ა-ანს შუამდგომლობა დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ვ-556-შ-56-08

25 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" დირექტორ პ. დ-უნის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე - ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" სარჩელის გამო მოპასუხე შპს "სიმბალის" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირმა" სარჩელი აღძრა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოში შპს "სიმბალის" მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს "სიმბალს" დაევალა, დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირს" 15000 აშშ დოლარი - გადახდილი და მიუღებელი საქონლის ღირებულება, 8 235 აშშ დოლარი - საურავი ვალდებულებების შესრულების დარღვევისათვის და 1803,33 აშშ დოლარი - საარბიტრაჟო საზღაურის გადახდასთან დაკავშირებული ხარჯები, სულ 25038,33 აშშ დოლარი. მოსარჩელეს სარჩელის დანარჩენ ნაწილის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2007 წლის 29 ოქტომბერს.

2008 წლის 12 ივნისს ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" დირექტორმა პ. დ-უნმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" დირექტორ პ. დ-უნის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე შპს "სიმბალს". მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში ჰქონდა თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეეძლო მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განხილვობდა ზეპირი მოსმენის გარეშე. შპს "სიმბალს" საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ზემოაღნიშნული დოკუმენტები. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაბარდა 2008 წლის 5 ივლისს.

მოპასუხე მხარეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" დირექტორ პ. დ-უნის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს "სიმბალს" დაევალა დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირს" 15000 აშშ დოლარი - გადახდილი და მიუღებელი საქონლის ღირებულება, 8 235 აშშ დოლარი - საურავი ვალდებულებების შესრულების დარღვევისათვის და 1803,33 აშშ დოლარი - საარბიტრაჟო საზღაურის გადახდასთან დაკავშირებული ხარჯები, სულ 25038,33 აშშ დოლარი. მოსარჩელეს სარჩელის დანარჩენ ნაწილის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2007 წლის 29 ოქტომბერს.

2008 წლის 12 ივნისს ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" დირექტორმა პ. დ-უნმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებისა და "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირის" დირექტორ პ. დ-უნის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "სიმბალს" დაევალა, დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს ღია სააქციო საზოგადოება სავაჭრო ფირმა "იავირს" 15000 აშშ დოლარი - გადახდილი და მიუღებელი საქონლის ღირებულება, 8 235 აშშ დოლარი - საურავი ვალდებულებების შესრულების დარღვევისათვის და 1803,33 აშშ დოლარი - საარბიტრაჟო საზღაურის გადახდასთან დაკავშირებული ხარჯები, სულ 25038,33 აშშ დოლარი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-1251-შ-37-08

19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ა. კ-ოვის შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2004 წლის 6 მაისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ო. ბ-შვილისათვის თანხის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 6 იანვარს მთვრალეობა: ო. გ. ბ-შვილმა მ. ნ. ს-იჩმა ქონების დატაცების მიზნით, ნ. ნ. ზ-კის, მის კუთვნილ "ფორდ სიერას" მარკის ავტომანქანის სალონში, დაადეს კისერთან დანა და სახეში მიასხეს გაზი, რის შემდეგაც ღიად გაიტაცეს ბელორუსიის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის ფული 13000 რუბლის ოდენობით, 210000 რუბლის ღირებულების ქურთუკი, 6000 რუბლის ღირებულების დეზოდორანტი, 15000 რუბლის ღირებულების სამი კომპაქტდისკი, 5000 რუბლის ღირებულების საფულე, სულ 254000 რუბლის ღირებულების ქონება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ო. გ. ბ-შვილის და მ. ნ. ს-იჩნის მიმართ. დამნაშავეებმა ნაწილობრივ ცნეს ბრალი.

ო. გ. ბ-შვილი და მ. ნ. ს-იჩნი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად, მათ მიესაჯათ პატიმრობა 6 წლის ვადით და ქონების კომფისკაცია.

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 ივნისის განჩინებით ბრალდებულ ოლეგ გურამის ძე ბ-შვილს დაენიშნა ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი - ო. ი-კო.

ამავე განჩინებით განისაზღვრა სოვეტსკის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშიდან ამორიცხულიყო და გადარიცხულიყო გომელის საოლქო ადვოკატთა კოლეგიის # 3015206340016 ანგარიშსწორების ანგარიშზე - გომელის ოლქის საგარანტიო ფონდი ღია სააქციო საზოგადოება "ბელინვესტბანკი", საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია 151501768, გადასახადის გადამხდელის სადრიცხვო ნომერი 400292458.

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კ-ოვმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2004 წლის 6 მაისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 მაისის განჩინებით ბრალდებულ ო. ბ-შვილს დაენიშნა ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი - ო. ი-კო.

სოვეტსკის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშიდან ამორიცხულიყო და გადარიცხულიყო გომელის საოლქო ადვოკატთა კოლეგიის # 3015206340016 ანგარიშსწორების ანგარიშზე გომელის ოლქის საგარანტიო ფონდი ღია სააქციო საზოგადოება "ბელინვესტბანკი", საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია 151501768, გადასახადის გადამხდელის სადრიცხვო ნომერი 400292458.

ო. ბ-შვილს დაეკისრა 54000 რუბლის გადახდა ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის საფინანსო განყოფილების სასარგებლოდ სასამართლოში საქმის მასალების გაცნობის და დაცვის განხორციელებისათვის.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2004 წლის 18 ივნისს.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სა-

მეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ჩერნიგოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ა. კ-ოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რომლითაც ო. ბ-შვილს დაეკისრა 54000 რუბლის გადახდა ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის საფინანსო განყოფილების სასარგებლოდ სასამართლოში საქმის მასალების გაცნობის და დაცვის განხორციელებისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

აღნიშნული თანხა ჩაირიცხოს ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ქალაქის აღმასკომის სოვეტსკის რაიონის საფინანსო სამმართველოს #360240200080 ანგარიშსწორების ანგარიშზე ღია სააქციო საზოგადოება "სააქციო შემნახველი ბანკი" "ბელარუსბანკი" #300 ფილიალში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია 151501661, აღრიცხვაზე აყვანის მიზეზის კოდი 775001001, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი კლასიფიკატორი 37387991, კოდი 03002.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-1136-შ-32-08

20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით შპს "მაქსიმუსს" (საქართველო) დაევალა აღნიშნული გადაწყვეტილების გადაცემისთანავე შპს "ფირმა ელევონისათვის" (უკრაინა) 32720,26 აშშ დოლარის ოდენობით ძირითადი ვალის, 595,5 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს, 792,1 აშშ დოლარის ოდენობით ზარალის და 3246,47 აშშ დოლარის ოდენობით საარბიტრაჟო მოსაკრებლის, სულ - 37354,33 აშშ დოლარის გადახდა.

შპს "ფირმა ელევონმა" შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით შპს "ფირმა ელევონის" შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში; შპს "მაქსიმუსს" გაეგზავნა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და განემარტა, რომ უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება შპს "ფირმა ელევონის" შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში. მასვე განემარტა, რომ შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება შპს "მაქსიმუსს" 2008 წლის 2 ივლისს ჩაჰბარდა, მაგრამ რაიმე შუამდგომლობა არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს "ფირმა ელევკონის" შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით შპს "მაქსიმუსს" (საქართველო) დაევალა აღნიშნული გადაწყვეტილების გადაცემისთანავე შპს "ფირმა ელევკონისათვის" (უკრაინა) 32720,26 აშშ დოლარის ოდენობით ძირითადი ვალის, 595,5 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს, 792,1 აშშ დოლარის ოდენობით ზარალის და 3246,47 აშშ დოლარის ოდენობით საარბიტრაჟო მოსაკრებლის, სულ - 37354,33 აშშ დოლარის გადახდა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთ და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "ფირმა ელევკონის" შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "მაქსიმუსს" (საქართველო) დაევალა აღნიშნული გადაწყვეტილების გადაცემისთანავე შპს "ფირმა ელევკონისათვის" (უკრაინა) 32720,26 აშშ დოლარის ოდენობით ძირითადი ვალის, 595,5 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს, 792,1 აშშ დოლარის ოდენობით ზარალის და 3246,47 აშშ დოლარის ოდენობით საარბიტრაჟო მოსაკრებლის, სულ - 37354,33 აშშ დოლარის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიას" გენერალური დირექტორის - ნ. ს-ევის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე - კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიას" სარჩელის გამო მოპასუხე შპს "დედოფლის მამულს" მიმართ ვაგონ-თვითმცლელის მიწოდების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიამ" სარჩელი აღძრა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოში შპს "დედოფლის მამულს" მიმართ რკინიგზის 7 ვაგონ-თვითმცლელის მიწოდების მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "დედოფლის მამულს" დაევალა დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მიეწოდებინა კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიასთვის" 31500 აშშ დოლარის ღირებულების რკინიგზის 7 ვაგონ-თვითმცლელი (დუმპკარი). შპს "დედოფლის მამულს" დაევალა ასევე დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიას" 3090 აშშ დოლარის გადახდა საარბიტრაჟო ხარჯების ასანაზღაურებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2007 წლის 27 ივნისს.

2008 წლის 22 აგვისტოს კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიას" გენერალურმა დირექტორმა ნ. ს-ევმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიას" გენერალური დირექტორის - ნ. ს-ევის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე შპს "დედოფლის მამულს". მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში ჰქონდა თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. შპს "დედოფლის მამულს" საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ზემოაღნიშნული დოკუმენტები. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაბარდა 2008 წლის 12 ოქტომბერს.

მოპასუხე მხარეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიას" გენერალური დირექტორის - ნ. ს-ევის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "დედოფლის მამულს" დაევალა დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მიეწოდებინა კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიასთვის" 31500 აშშ დოლარის ღირებულების რკინიგზის 7 ვაგონ-თვითმცლელი (დუმპკარი). შპს "დედოფლის მამულს" დაევალა ასევე დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაეხადა კერძო საწარმო "ფინანსოვანთა გარმონიასთვის" 3090 აშშ დოლარი საარბიტრაჟო ხარჯების ასანაზღაურებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2007 წლის 27 ივნისს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

2008 წლის 22 აგვისტოს კერძო საწარმო "ფინანსოვანა გარმონიას" გენერალურმა დირექტორმა ნ.ს-ევმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებისა და "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საწარმო "ფინანსოვანა გარმონიას" გენერალური დირექტორის - ნ. ს-ევის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "დედოფლის მამულს" დაევალა, დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე, კერძო საწარმო "ფინანსოვანა გარმონიასთვის" 31500 აშშ დოლარის ღირებულების რკინიგზის 7 ვაგონ-თვითმცლელი (დუმპკარი) მიწოდება და ასევე დაუყონებლივ, გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაუხადოს კერძო საწარმო "ფინანსოვანა გარმონიასთვის" 3090 აშშ დოლარის გადახდა საარბიტრაჟო ხარჯების ასანაზღაურებლად, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-2297-შ-53-08

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ს-იას ბელორუსიის უნიტარული სადაზღვევო კომპანია "ბელგოსსტრახის" სასარგებლოდ ("ბელგოსსტრახის" ქ. მინსკის ფილიალი, მინსკი, ... ქ. 16, ანგარიშსწორების ანგარიში 3011202460015 ღია სააქციო საზოგადოება "ბელინვესტბანკის" მინსკის საქალაქო ფილიალის დირექციაში, კოდი 764, გადამხდელის სააღრიცხვო ნომერი 101883943) დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 771.440 რუბლი, სხვისი ფულადი სახსრების გამოყენებისათვის პროცენტის სახით - 143.054 რუბლი, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 87.310 რუბლი, მთლიანობაში - 1.001.800 რუბლი; ამავე გადაწყვეტილებით გ. ს-იას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 41.350 რუბლის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობებით მომართეს ბელორუსიის

რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონულმა სასამართლომ და ბელორუსიის უნიტარულმა სადაზღვევო კომპანია "ბელგოსსტრახმა". ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონულმა სასამართლომ მოითხოვა მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, ხოლო ბელორუსიის უნიტარულმა სადაზღვევო კომპანია "ბელგოსსტრახმა" დანარჩენ ნაწილში ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოსა და ბელორუსიის უნიტარული სადაზღვევო კომპანია "ბელგოსსტრახის" შუამდგომლობები ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნეს წარმოებაში. შუამდგომლობებისა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მასვე განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში შეემლო წარედგინა მოსაზრება ზემომითითებული შუამდგომლობების თაობაზე, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობებისა და აღნიშნული განჩინების ასლები გ. ს-იას 2008 წლის 19 დეკემბერს ჩაჰბარდა, მაგრამ მოპასუხეს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ბელორუსიის უნიტარული სადაზღვევო კომპანია "ბელგოსსტრახისა" და ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ს-იას ბელორუსიის უნიტარული სადაზღვევო კომპანია "ბელგოსსტრახის" სასარგებლოდ ("ბელგოსსტრახის" ქ. მინსკის ფილიალი, მინსკი, ... ქ. 16, ანგარიშსწორების ანგარიში 3011202460015 ღია სააქციო საზოგადოება "ბელინვესტბანკის" მინსკის საქალაქო ფილიალის დირექციაში, კოდი 764, გადამხდელის სადრიცხო ნომერი 101883943) დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 771.440 რუბლი, სხვისი ფულადი სახსრების გამოყენებისათვის პროცენტის სახით - 143.054 რუბლი, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 87.310 რუბლი, მთლიანობაში - 1.001.800 რუბლი; ამავე გადაწყვეტილებით გ. ს-იას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 41.350 რუბლის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთ და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამარ-

თლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბელორუსიის უნიტარული სადაზღვევო კომპანია “ბელგოსსტრახისა” და ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუნზეს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-იას ბელორუსიის უნიტარული სადაზღვევო კომპანია “ბელგოსსტრახის” სასარგებლოდ (“ბელგოსსტრახის” ქ. მინსკის ფილიალი, მინსკი, ... ქ. 16, ანგარიშსწორების ანგარიში 3011202460015 ღია სააქციო საზოგადოება “ბელინგვსტბანკის” მინსკის საქალაქო ფილიალის დირექციაში, კოდი 764, გადამხდელის სააღრიცხვო ნომერი 101883943) დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 771.440 რუბლი, სხვისი ფულადი სახსრების გამოყენებისათვის პროცენტის სახით - 143.054 რუბლი, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 87.310 რუბლი, მთლიანობაში - 1.001.800 რუბლი; აგრეთვე გ. ს-იას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 41.350 რუბლის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-90-შ-12-09

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 ნოემბრის განაჩენით ვ. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში. ამავე განაჩენით ვ. მ-მეს დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ვ. მ-იჩის სასარგებლოდ 2335310 რუბლის, ს. გ-კოს - 1423616, მ. პ-ევის - 915446, ხოლო ვ. კ-იკის სასარგებლოდ 853280, ასევე, სახელმწიფო ბაჟის - 552765 რუბლის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს ვ. კ-იკმა, მ. პ-ევმა, ვ. მ-იჩმა, ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ე.ლ-იკმა და მოითხოვეს დასახელებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ვ.მ-მისათვის დაკისრებული თანხების, ასევე სახელმწიფო ბაჟის ნაწილში შემდეგი ოდენობით: ვ. კ-იკმა - 828930 რუბლის, მ.პ-ევმა - 891096, ვ. მ-იჩმა - 2310960, ხოლო საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ე.ლუხვერიკმა სახელმწიფო ბაჟის - 552765 რუბლის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს, ვ.კ-იკის, მ.პ-ევის, ვ.მ-იჩის შუამდგომლობები ვ. მ-მისათვის თანხის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ე. ლ-იკის, ვ. კ-იკის, მ. პ-ევის, ვ. მ-იჩის შუამდგომლობები ვ. მ-მისათვის თანხის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 ნოემბრის განაჩენით ვ. ძ-მეს დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. თანხის დაკისრების ნაწილში აღნიშნული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართეს ვ. კ-იკმა, მ. პ-ევმა, ვ. მ-იჩმა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ე. ლ-იკმა, ხოლო ს.გ-კოს შუამდგომლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის არ მოუმართავს.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 ნოემბრის განაჩენი ვ. ძ-მისათვის შუამდგომლობის ავტორთა სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. კ-იკის, მ. პ-ევის, ვ. მ-იჩისა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ე. ლ-იკის შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 ნოემბრის განაჩენი რომლითაც ვ. ძ-მეს დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ვ. მ-იჩის სასარგებლოდ 2310960 რუბლის, მ. პ-ევის - 891096, ხოლო ვ. კ-იკის სასარგებლოდ 828930, ასევე სახელმწიფო ბაჟის - 552765 რუბლის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-309-შ-17-09

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამეწარმეო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შპს “არგო ინტერნეიშენალს” შპს “ჩუმაცკი შლიახის” სასარგებლოდ დაეკისრა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის რკინიგზის საშუალებით სავაგონო გადაზიდვისათვის 3890,1 აშშ დოლარის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ჯარიმის - 492,48 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო წესით დავის განხილვისათვის მოსაკრებლის სახით 1200 აშშ დოლარის, სულ - 5582,58 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა შპს “ჩუმაცკი შლიახის” დირექტორმა გ.კ-ენკომ, მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შპს “არგო ინტერნეიშენალის” დირექტორ კ.ჯ-იასთვის შპს “ჩუმაცკი შლიახის” სასარგებლოდ დაკისრებული თანხების ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის გაჩინებით შპს "ჩუმაკვი შლიახის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამეწარმეო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება შპს "არგო ინტერნეშენალის" დირექტორ კ.ჯ-იასათვის თანხის - 5582,58 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს "ჩუმაკვი შლიახის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამეწარმეო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართლებრივი დახმარების გაწევის დროს დავალების შესრულებისას ის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, სარგებლობს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით. "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმების თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ უკრაინის სავაჭრო-სამეწარმეო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "არგო ინტერნეშენალს" შპს "ჩუმაკვი შლიახის" სასარგებლოდ დაეკისრა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის რკინიგზის საშუალებით სავაჭრო გადაზიდვისათვის 3890,1 აშშ დოლარის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ჯარიმის - 492,48 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო წესით დავის განხილვისათვის მოსაკრებლის სახით 1200 აშშ დოლარის, სულ - 5582,58 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიმართულია კონკრეტული იურიდიული პირის - შპს "არგო ინტერნეშენალის" წინააღმდეგ. შპს "ჩუმაკვი შლიახის" დირექტორმა გ. კ-ენკომ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ამავე საზოგადოების დირექტორის - კ. ჯ-იას მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ამდენად, დასახელებული ნორმის თანახმად, იურიდიული პირი სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს საკუთარი სახელით და ამ ურთიერთობების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებებისათვის ის თავადვე აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე, ისე, რომ ამ კრედიტორთა წინაშე პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს არ ეკისრებათ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. ამავე კოდექსის 85-ე მუხლით, არასათანადო მოპასუხის მიმართ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში იგი უნდა შეიცვალოს სათანადო მოპასუხით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელეს უარი ეთქმება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს გამოტანილია იურიდიული პირის - შპს "არგო ინტერნეშენალის" მიმართ, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს არა ამ იურიდიული პირის, არამედ მისი დირექტორის - კ. ჯ-იას მიმართ, რაც დაუსაბუთებელია.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო შუამდგომლობის ავტორს სამართლებრივი დახმარების გაწევაზე ეტყვის უარს, თუ მისი დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს "ჩუმაკვი შლიახის" შუამდგომ-

ლობა მიმართულია არასათანადო პირის მიმართ, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ჩუმაცკი შლიახის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამეწარმეო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შპს "არგო ინტერნეიშენალის" დირექტორ კ.ჯ.-ის მიმართ თანხის - 5582,58 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-471-შ-21-09

15 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიას შპს "საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის" სასარგებლოდ დაეკისრა 61020 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, 7592 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე.

შპს "საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის" წარმომადგენელმა ე. ზ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით შპს "საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის" წარმომადგენელ ე. ზ-შვილის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელი თვლის, რომ შპს „საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის, შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ შპს "საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის" წარმომადგენელ ე. ზ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს უცხოეთის სასამართლოს (არბიტრაჟის) გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა. უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციის (საქართველო შეუერთდა 1994 წელს) მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. ამავე კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის, საარბიტრაჟო გარჩევის თაობაზე ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო თავის ახსნა-განმარტების წარდგენა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლის მტკიცება, რომ ბათუმის მერიას არ ჩაბარებია შპს „საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის“ სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად და მათთვის უცნობი იყო თუ რა საქმეს იხილავდა საარბიტრაჟო სასამართლო საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ მოპასუხეს გაუგზავნა სარჩელი და თანდართული მასალები, რომლებიც მოპასუხეს ჩაბარდა 2006 წლის 8 დეკემბერს, მოპასუხეს ასევე ეცნობა მოსარჩელის მიერ არბიტრის დანიშვნის შესახებ და მიეცა წინადადება 15 დღის ვადაში მოპასუხეს დაენიშნა არბიტრი თავისი მხრიდან. ამავე გზავნილით მოპასუხეს განესაზღვრა 30-დღიანი ვადა წერილობითი ფორმით წარედგინა ახსნა-განმარტება სარჩელთან დაკავშირებით, გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე გაფრთხილებულ იქნა საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ. ამდენად, საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო ყველა ზომა, რათა მოპასუხეს მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, მაგრამ უშედეგოდ, ქ. ბათუმის მერიამ თავისი მხრიდან არც არბიტრი დანიშნა და არც სარჩელი-საგან დაიცვა თავი.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს ქ. ბათუმის მერიის მოსაზრებას, რომ, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იქნეს ცნობილი, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. კერძოდ, მერიის წარმომადგენლის მოსაზრებით საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განეხილა მხარეთა შორის წარმოშობილი დავა, ასევე ამ ქვეყნის კანონით, დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო გარჩევის საგანი.

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი მხარე ცნობს წერილობით შეთანხმებას, რომლითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, არბიტრაჟს გადასცენ ყველა ან ზოგიერთი სადავო სარჩელი, რომელიც წარმოიშვა მათ შორის რომელიმე კონკრეტული სახელშეკრულებო ან სხვა სამართალურთიერთობის გამო, რომლის ობიექტი შეიძლება საარბიტრაჟო გარჩევის საგანი გახდეს. მოდავე მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 13.1 პუნქტის შესაბამისად, მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე კონტრაქტთან დაკავშირებული დავები განიხილება, საერთო სასამართლოების განსჯადობის გამორიცხვით, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოში ამ სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება ორივე მხარისათვის. ამდენად, მხარეებმა წინამდებარე კონტრაქტით მათ შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა მიანდეს რუსეთის არბიტრაჟს.

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია გადაწყვეტილების ცნობა წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს, რომ მათ შორის წერილობით გაფორმებული „საარბიტრაჟო შეთანხმება“ ძალადაკარგულია იმ კანონით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთის მითითების არარსებობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონით, სადაც გადაწყვეტილება მიიღეს.

მხარის მიერ არ ყოფილა უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული „საარბიტრაჟო შეთანხმება“ ბათილად არ არის ცნობილი ან ძალადაკარგულია.

ამდენად, არ არსებობს კონვენციის მე-5 მუხლით, ასევე, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, გათვალისწინებული უცხოეთის გადაწყვეტილების

არ ცნობის საფუძვლები, კერძოდ, მხარეთა შეთანხმების თანახმად, დავა ექვემდებარებოდა საარბიტრაჟო განხილვას, შეთანხმება არ არის ძალადაკარგული, საარბიტრაჟო განხილვის შესახებ მოპასუხე ჯეროვნად იყო ინფორმირებული, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს, როგორც სავალდებულო და აღსრულებს საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "საწარმო-კომერციული ფირმა "მეგალუქსის" წარმომადგენელ ე. ზ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. ბათუმის მერიას შპს "საწარმო-კომერციული ფირმა მეგალუქსის" სასარგებლოდ დაეკისრა 61020 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე 7592 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება

განჩინება

ა-539-შ-25-09

9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს მოსამართლის - ი. ჟ-ოვის შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე - ი. ლ-ოვას სარჩელის გამო მოპასუხე ა. ჯ-ავას მიმართ, რესპუბლიკიდან გასვლის მიზნით, პასპორტის გაფორმებისა და მათი არასრულწლოვანი შვილის გასვლისათვის ნებართვის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ლ-ოვამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. ჯ-ავას მიმართ და მიუთითა, რომ მხარეებს ერთად ცხოვრების პერიოდში, 1999 წლის 29 იანვარს, შეეძინათ შვილი - ლ. ამჟამად მათ შორის ურთიერთობა შეწყვეტილია. ამის გამო მისთვის საკმაოდ რთულია, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები. მან მოითხოვა, სასამართლოს ნება დაერთო, გაეფორმებინა ბავშვის პასპორტი და ბელორუსის რესპუბლიკიდან მამის თანხმობის გარეშე გაეყვანა არასრულწლოვანი შვილი.

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს მოსამართლის - ი. ჟ-ოვის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ ა. ჯ-ავას სასამართლო სხდომის დროის შესახებ დროულად ეცნობა. სასამართლო უწყება და სასარჩელო განცხადების ასლი მას პირადად ჩაჰბარდა.

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ლ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა, მას ნება დაერთო 1999 წლის 29 იანვარს დაბადებულ არასრულწლოვან ლ. ლ-ოვას მამის ა. ჯ-ავას წერილობითი თანხმობის გარეშე ბელორუსის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არაერთხელ, დროებით გასვლაზე.

ამავე გადაწყვეტილებით ა. ჯ-ავას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 2 120 რუბლის, სულ 107 120 რუბლის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 18 ივლისს და სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის მოსამართლე ი. ჟ-ოვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის მოსამართლე ი. ჟ-ოვის შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის მოსამართლე ი. ჟ-ოვის შუამდგომლობა ა. ჯ-ავასათვის საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის - 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 2 120 რუბლის, სულ - 107 120 რუბლის დაკისრების ნაწილში ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ლ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა, მას ნება დაერთო 1999 წლის 29 იანვარს დაბადებულ არასრულწლოვან ლ. ლ-ოვას მამის - ა. ჯ-ავას წერილობითი თანხმობის გარეშე ბელორუსის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არაერთხელ, დროებით გასვლაზე.

ამავე გადაწყვეტილებით ა. ჯ-ავას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 2 120 რუბლის, სულ 107 120 რუბლის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 18 ივლისს და სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის მოსამართლე ი. ჟ-ოვმა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის მოსამართლე ი. ჟ-ოვის შუამდგომლობა ა. ჯ-ავასათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 2 120 რუბლის, სულ 107 120 რუბლის დაკისრების ნაწილში ამავ სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის მოსამართლე ი. ჟ-ოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის სოვეტსკის რაიონის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ა. ჯ-ავას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 2 120 რუბლის, სულ - 107 120 რუბლის გადახდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-1179-შ-39-09

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

განხილვის საგანი: უკრაინის ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ენკოს სარჩელი მოპასუხეების: ი. ა-ოვის, შპს "ქართული სახლის", შპს "განთიადის", შპს "მარიამ-ნინოს", მესამე პირის - ა. კ-ოვის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ი. ა-ოვს ნ. ლ-ენკოს სასარგებლოდ დაეკისრა 72 552.50 გრივნის, სასამართლო ხარჯების - 755.52 გრივნის, მთლიანობაში - 73 308 გრივნისა და 2 კაპიკის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მომართა ნ. ლ-ენკომ (წარმომადგენელი შპს "საადვოკატო ოფისი"), რომელმაც დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით ნ. ლ-ენკოს (წარმომადგენელი შპს "საადვოკატო ოფისი") შუამდგომლობა უკრაინის ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; ი. ა-ოვს გაეგზავნა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და განემარტა, რომ უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება ნ. ლ-ენკოს შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში; მასვე განემარტა, რომ შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო, თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე. ი. ა-ოვს საკასაციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მოუმართავს.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ენკოს (წარმომადგენელი შპს "საადვოკატო ოფისი") შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ენკოს სარჩელი მოპასუხეების: ი. ა-ოვის, შპს "ქართული სახლის", შპს "განთიადის", შპს "მარიამ-ნინოს", მესამე პირის - ა. კ-ოვის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ი. ა-ოვს ნ. ლ-ენკოს სასარგებლოდ დაეკისრა 72 552.50 გრივნის, სასამართლო ხარჯების - 755.52 გრივნის, მთლიანობაში - 73 308 გრივნისა და 2 კაპიკის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებანი,

როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც "ა," "ბ," "დ," "ე" და "ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 70-ე-71-ე მუხლებით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ლ-ენკოს (წარმომადგენელი შპს "საადვოკატო ოფისი") შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. უკრაინის ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ლ-ენკოს სარჩელი მოპასუხეების: ი. ა-ოვის, შპს "ქართული სახლის", შპს "განთიადის", შპს "მარიამ-წინოს", მესამე პირის - ა. კ-ოვის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ი. ა-ოვს ნ. ლ-ენკოს სასარგებლოდ დაეკისრა 72 552.50 გრივნის, სასამართლო ხარჯების - 755.52 გრივნის, მთლიანობაში - 73 308 გრივნისა და 2 კაპიკის გადახდა, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-759-შ-32-09

5 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით გ. ს-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მეორე ნაწილით, 214-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-14, 213-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებში ხოლო ამავე კოდექ-



სის 72-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, მითითებული დადგენილებით გ.ს-იას ანდრეი პროტკოს სასარგებლოდ დაეკისრა 495 000 რუბლის, ასევე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟი - 49 500 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე.მ-უნომ და მოითხოვა დასახელებული დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება გ. ს-იასათვის სახელმწიფო ბაჟის - 49 500 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ს.მ-უნოს შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის დადგენილების იმ ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით, რომლითაც გ. ს-იას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 49 500 ბელორუსული რუბლის გადახდა, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ს.მ-უნოს შუამდგომლობა გ. ს-იასათვის სახელმწიფო ბაჟის - 49 500 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით გ. ს-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მეორე ნაწილით, 214-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-14, 213-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებში ხოლო, ამავე კოდექსის 72-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, მითითებული დადგენილებით გ.ს-იას ანდრეი პროტკოს სასარგებლოდ დაეკისრა 495 000 ბელორუსული რუბლის, ასევე საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის - 49 500 ბელორუსული რუბლის გადახდა. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ს.მ-უნომ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ს.მ-უნოს შუამდგომლობა გ.ს-იასათვის ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 49 500 ბელორუსული რუბლის დაკისრების ნაწილში ამავე სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ზემოხსენებული დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ს.მ-უნოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ფრუზენსკის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის დადგენილება

იმ ნაწილში, რომლითაც გ. ს-ის ამავე სასამართლოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 49 500 ბელორუსული რუბლის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-1858-შ-53-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს "არეს ინტერნაციონალის", შპს "მეტალჯეოს" და მათი წარმომადგენლის ა. კ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი საინვესტიციო დავების მარეგულირებელი საერთაშორისო ცენტრის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, შპს "არეს ინტერნაციონალის" და შპს "მეტალჯეოს" სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს მიმართ მიყენებული ზარალის ფულადი კომპენსაციის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საინვესტიციო დავების მარეგულირებელი საერთაშორისო ცენტრის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც:

1. ტრიბუნალს გააჩნია განსჯადობა მოსარჩელების მიერ ამ სასამართლო პროცესზე დაყენებულ ყველა მოთხოვნაზე;

2. "არეს" აქვს ჯუს სტანდი, რათა დააყენოს თავისი მოთხოვნები ამ სასამართლო პროცესზე;

3. მოპასუხე საქართველომ დაარღვია შეთანხმების მე-2 მუხლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ვერ უზრუნველყო მოსარჩელები მათი ინვესტიციების სამართლიანი და თანაზომიერი მოპყრობით;

4. მოპასუხე საქართველოს არ დაურღვევია შეთანხმების მე-3 მუხლისა და საქართველო-გაერთიანებული სამეფოს "BIთ-ის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოსარჩელების ინვესტიციების სრული დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ;

5. მოპასუხე საქართველოს არ დაურღვევია შეთანხმების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები მოსარჩელების ინვესტიციების ექსპროპრიაციისას არაკანონიერი ზომების გამოყენების შესახებ;

6. მოპასუხე საქართველომ "არეს" უნდა გადაუხადოს 1,143, 375.60 აშშ დოლარის კომპენსაცია;

7. მოპასუხე საქართველომ "მეტალჯეოს" უნდა გადაუხადოს 2, 367,702.80 აშშ დოლარის კომპენსაცია;

8. მოპასუხე საქართველომ ასევე უნდა გადაიხადოს პროცენტი დაწყებული 2004 წლის 15 მარტიდან, ვიდრე გადახდის თარიღამდე, რთული წლიური 5%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დაერიცხება თითოეულ თანხას, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს კომპენსაციის სახით "არესისა" და "მეტალჯეოსათვის";

9. მოპასუხემ პირველ რიგში უნდა აანაზღაუროს 9,44122 აშშ დოლარი ცენტრის ხარჯებიდან, რის შემდეგაც მოსარჩელები და მოპასუხე თანაბრად გაიყოფენ დანარჩენ ხარჯებს, არბიტრთა გასამრჯელოსა და ხარჯების ჩათვლით;

10. დანარჩენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შპს "არეს ინტერნაციონალმა", შპს "მეტალჯეომ" და მათმა წარმომადგენელმა ა. კ-შვილმა შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს საინვესტიციო დავების მარეგულირებელი საერთაშორისო ცენტრის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს "არეს ინტერნაციონალის", შპს "მეტალჯეოს" და მათი წარმომადგენლის ა. კ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საინვესტიციო დავების მარეგულირებელი საერთაშორისო ცენტრის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით 1. ტრიბუნალს გააჩნია განსჯადობა მოსარჩელების მიერ ამ სასამართლო პროცესზე დაყენებულ ყველა მოთხოვნაზე;

2. "არეს" აქვს ჯუს სტანდი, რათა დააყენოს თავისი მოთხოვნები ამ სასამართლო პროცესზე;

3. მოპასუხე საქართველომ დაარღვია შეთანხმების მე-2 მუხლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ვერ უზრუნველყო მოსარჩელები მათი ინვესტიციების სამართლიანი და თანაზომიერი მოპყრობით;

4. მოპასუხე საქართველოს არ დაურღვევია შეთანხმების მე-3 მუხლისა და საქართველო-გაერთიანებული სამეფოს "BIT-ის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოსარჩელების ინვესტიციების სრული დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ;

5. მოპასუხე საქართველოს არ დაურღვევია შეთანხმების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები მოსარჩელების ინვესტიციების ექსპროპრიაციისას არაკანონიერი ზომების გამოყენების შესახებ;

6. მოპასუხე, საქართველომ "არეს" უნდა გადაუხადოს 1,143, 375.60 აშშ დოლარის კომპენსაცია;

7. მოპასუხე საქართველომ "მეტალჯეოს" უნდა გადაუხადოს 2, 367,702.80 აშშ დოლარის კომპენსაცია;

8. მოპასუხე, საქართველომ ასევე უნდა გადაიხადოს პროცენტი დაწყებული 2004 წლის 15 მარტიდან, ვიდრე გადახდის თარიღამდე, რთული წლიური 5%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დაერიცხება თითოეულ თანხას, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს კომპენსაციის სახით "არესისა" და "მეტალჯეოსათვის";

9. მოპასუხემ პირველ რიგში უნდა აანაზღაუროს 9,44122 აშშ დოლარი ცენტრის ხარჯებიდან, რის შემდეგაც მოსარჩელები და მოპასუხე თანაბრად გაიყოფენ დანარჩენ ხარჯებს, არბიტრთა გასამრჯელოსა და ხარჯების ჩათვლით;

10. დანარჩენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს საინვესტიციო დავების მარეგულირებელი საერთაშორისო ცენტრის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "არეს ინტერნაციონალის", შპს "მეტალჯეოს" და მათი წარმომადგენლის ა. კ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

საინვესტიციო დავების მარეგულირებელი საერთაშორისო ცენტრის საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც:

1. ტრიბუნალს გააჩნია განსჯადობა მოსარჩელების მიერ ამ სასამართლო პროცესზე დაყენებულ ყველა მოთხოვნაზე;

2. "არეს" აქვს ჯუს სტანდი, რათა დააყენოს თავისი მოთხოვნები ამ სასამართლო პროცესზე;

3. მოპასუხე საქართველომ დაარღვია შეთანხმების მე-2 მუხლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ვერ უზრუნველყო მოსარჩელები მათი ინვესტიციების სამართლიანი და თანაზომიერი მოპყრობით;

4. მოპასუხე საქართველოს არ დაურღვევია შეთანხმების მე-3 მუხლისა და საქართველო-გაერთიანებული სამეფოს "BIT-ის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოსარჩელების ინვესტიციების სრული დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ;

5. მოპასუხე საქართველოს არ დაურღვევია შეთანხმების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები მოსარჩელების ინვესტიციების ექსპროპრიაციისას არაკანონიერი ზომების გამოყენების შესახებ;

6. მოპასუხე საქართველომ "არეს" უნდა გადაუხადოს 1,143, 375.60 აშშ დოლარის კომპენსაცია;

7. მოპასუხე საქართველომ "მეტალჯეოს" უნდა გადაუხადოს 2, 367,702.80 აშშ დოლარის კომპენსაცია;

8. მოპასუხე საქართველომ ასევე უნდა გადაიხადოს პროცენტი დაწყებული 2004 წლის 15 მარტიდან, ვიდრე გადახდის თარიღამდე, რთული წლიური 5%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დაერიცხება თითოეულ თანხას, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს კომპენსაციის სახით "არესისა" და "მეტალჯეოსათვის";

9. მოპასუხემ პირველ რიგში უნდა ანაზღაუროს 9, 44122 აშშ დოლარი ცენტრის ხარჯებიდან, რის შემდეგაც მოსარჩელები და მოპასუხე თანაბრად გაიყოფენ დანარჩენ ხარჯებს, არბიტრთა გასამრჯელოსა და ხარჯების ჩათვლით;

10. დანარჩენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#-ა-1899-შ-58-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "დეკოს" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "დეკოს" აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაევალოს, დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმის" (უკრაინა) სასარგებლოდ 18140 აშშ დოლარის, როგორც საქონლის ღირებულებისა, 12744,36 აშშ დოლარის - გადახდის გადაცილების გამო პირგასამტეხლოსა და 2442,45 აშშ დოლარის - საარბიტრაჟო მოსაკრებლის ხარჯის დაუყოვნებლივ ანაზღაურება, სულ - 33356 აშშ დოლარი და 81 ცენტის გადახდა;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბუღალტერიამ დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმს" (უკრაინა) დაუბრუნოს 195 გრივნი და 35 კაპიკი, როგორც ზედმეტად გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხა.

დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმა" შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "დეკოს" აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაევალოს, დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმის" (უკრაინა) სასარგებლოდ 18140 აშშ დოლარის, როგორც საქონლის ღირებულებისა, 12744,36 აშშ დოლარის - გადახდის გადაცილების გამო პირგასამტეხლოსა და 2442,45 აშშ დოლარის - საარბიტრაჟო მოსაკრებლის ხარჯის დაუყოვნებლივ ანაზღაურება, სულ - 33356 აშშ დოლ. და 81 ცენტის გადახდა;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბუღალტერიამ დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმს" (უკრაინა) დაუბრუნოს 195 გრივნი და 35 კაპიკი, როგორც ზედმეტად გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხა.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმის" შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "დეკოს" აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაევალოს, დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმის" (უკრაინა) სასარგებლოდ 18140 აშშ დოლარის, როგორც საქონლის ღირებულებისა, 12744,36 აშშ დოლარის - გადახდის გადაცილების გამო პირგასამტეხლოსა და 2442,45 აშშ დოლარის - საარბიტრაჟო მოსაკრებლის ხარჯის დაუყოვნებლივ ანაზღაურება, სულ - 33356 აშშ დოლ. და 81 ცენტის გადახდა;

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბუღალტერიამ დახურული სააქციო საზოგადოება "კომბიკორმს" (უკრაინა) დაუბრუნოს 195 გრივნი და 35 კაპიკი, როგორც ზედმეტად გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის თანხა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-1928-შ-61-09

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ო. ა-ოვას, ნ. ლ-ინას, თ. ფ-უტის, და ე. შ-ოვასა და ს. შ-უნის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ზ. ე-შვილის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონუს სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენით ზ. ე-შვილს და ვ. შ-ევს სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება: ო. ა-ოვას სასარგებლოდ - 1 832 620 რუბლისა და მორალური ზიანის - 300 000 რუბლის, ნ. ლ-ინას სასარგებლოდ - 1 414 000 რუბლის, თ. ფ-უტის სასარგებლოდ - 4 100 610 რუბლის, ე. შ-ოვას სასარგებლოდ - 2 663 000 რუბლის და ს. შ-უნის სასარგებლოდ - 2 940 280 რუბლის გადახდა. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 11 აპრილს, ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ და ზ. ე-

შვილს გადასახდელი დარჩა: ო. ა-ოვას სასარგებლოდ 2 132 620 რუბლი, ნ. ლ-ინას სასარგებლოდ - 1 414 000 რუბლი, თ. ფ-უტის სასარგებლოდ - 4 100 610 რუბლი, ე. შ-ოვას სასარგებლოდ - 2 443 520 რუბლი და ს. შ-უნის სასარგებლოდ - 2 940 280 რუბლი.

ო. ა-ოვამ, ნ. ლ-ინამ, თ. ფ-უტმა, და ე. შ-ოვამ და ს. შ-უნმა შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ სასამართლოს მიერ ზ. ე-შვილის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ო. ა-ოვას, ნ. ლ-ინას, თ. ფ-უტის, და ე. შ-ოვასა და ს. შ-უნის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ო. ა-ოვას, ნ. ლ-ინას, თ. ფ-უტის, და ე. შ-ოვასა და ს. შ-უნის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენით ზ. ე-შვილს და ვ. შ-ევს სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება: ო. ა-ოვას სასარგებლოდ - 1 832 620 რუბლისა და მორალური ზიანის - 300 000 რუბლის, ნ. ლ-ინას სასარგებლოდ - 1 414 000 რუბლის, თ. ფ-უტის სასარგებლოდ - 4 100 610 რუბლის, ე. შ-ოვას სასარგებლოდ - 2 663 000 რუბლის და ს. შ-უნის სასარგებლოდ - 2 940 280 რუბლის გადახდა. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 11 აპრილს, ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ და ზ. ე-შვილს გადასახდელი დარჩა: ო. ა-ოვას სასარგებლოდ 2 132 620 რუბლი, ნ. ლ-ინას სასარგებლოდ - 1 414 000 რუბლი, თ. ფ-უტის სასარგებლოდ - 4 100 610 რუბლი, ე. შ-ოვას სასარგებლოდ - 2 443 520 რუბლი და ს. შ-უნის სასარგებლოდ - 2 940 280 რუბლი.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენი ზ. ე-შვილის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის მინსკის კონვენციით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ა-ოვას, ნ. ლ-ინას, თ. ფ-უტის, და ე. შ-ოვასა და ს. შ-უნის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 30 იანვრის განაჩენი, რომლითაც ზ. ე-შვილს და ვ. შ-ევს სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება: ო. ა-ოვას სასარგებლოდ - 1 832 620 რუბლისა და მორალური ზიანის - 300 000 რუბლის, ნ. ლ-ინას სასარგებლოდ - 1 414 000 რუბლის, თ. ფ-უტის სასარგებლოდ - 4 100 610 რუბლის, ე. შ-ოვას სასარგებლოდ - 2 663 000 რუბლის და ს. შ-უნის სასარგებლოდ - 2 940 280 რუბლის გადახდა. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 11 აპრილს, ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ და ზ. ე-შვილს გადასახდელი დარჩა: ო. ა-ოვას სასარგებლოდ 2 132 620 რუბლი, ნ. ლ-ინას სასარგებლოდ - 1 414 000 რუბლი, თ. ფ-უტის სასარგებლოდ - 4 100 610 რუბლი, ე. შ-ოვას სასარგებლოდ - 2 443 520 რუბლი და ს. შ-უნის სასარგებლოდ - 2 940 280 რუბლი, ცნობილი იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას ზ. ე-შვილის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-2182-შ-72-09

19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ჯ. ქ-ანის და მისი წარმომადგენლის ი. ყ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, თანხის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თურქეთის საარბიტრაჟო საბჭოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ჯ. ქ-ანმა და განმარტა, რომ 2008 წლის 19 დეკემბერს მასსა და მოპასუხე მხარეს შორის დაიდო მართვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხის კუთვნილი სასტუმრო და კაზინო 10 წლის ვადით საქსპლოატაციოდ უნდა გადასცემოდა მოსარჩელე ჯ. ქ-ანს. ჯ. ქ-ანმა ვალის სახით მოპასუხეს მისცა 2.000 000 აშშ დოლარი, რომელიც მოპასუხეს უნდა გადაეხადა 2009 წლის 1 ივნისს 2.250 000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების არა საპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში მხარეს უნდა გადაეხადა კომპენსაცია 1.000.000 აშშ დოლარის ოდენობით. 2009 წლის 24 თებერვალს მოსარჩელემ მოპასუხეს გაუგზავნა წერილობითი გაფრთხილება ხელშეკრულების შესრულების თაობაზე, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ მოპასუხემ არ ჩააბარა არც სასტუმრო და არც კაზინო. ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, როგორც გამოირკვა, მოსარჩელე სასტუმროს ექსპლოატაციით წინა დასაბეგრი მოგების - 4.790.515 აშშ დოლარის ნახევარი, ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს უნდა აეღო მართვის ჰონორარის სახით. დანარჩენ 9-წლიან ვადაში მისაღებმა დაკარგულმა მოგებამ დაანგარიშების შედეგად შეადგინა 7.200.733,12 აშშ დოლარი. მოსარჩელემ მოითხოვა ზემოაღნიშნული თანხების ანაზღაურება და ასევე მოპასუხეზე უპირობო ჯარიმის სახით 1.000.000 აშშ დოლარის დაკისრება.

2009 წლის 12 ივნისს ანკარაში საარბიტრაჟო საბჭომ დააკმაყოფილა ჯ. ქ-ანის სარჩელი და მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხე შპს "სასტუმრო ინტურისტ პალას" დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2,250 000 აშშ დოლარი 01.06.2009 წლიდან მოყოლებული საპროცენტო განაკვეთთან ერთად დაუბრუნებელი კრედიტის გამო; ასევე, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკარგული მოგების თანხის, კერძოდ, 7 200 733,12 აშშ დოლარის და უპირობო ჯარიმის - 1 000 000 აშშ დოლარის გადახდევინება სარჩელის შეტანის თარიღიდან 31.03.2009 წლიდან მოყოლებული ბანკების მიერ აშშ დოლარის მიმართ ამოქმედებულ ყველაზე მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთთან ერთად; უარისა და თანხმობის მიცემის შესაბამისად საარბიტრაჟო საბჭოს ჰონორარის - 634.948.00 თურქული ლირის ნაწილი 380.235.00 თურქული ლირა ანაზღაურებული იყო მოპასუხისგან, ხოლო 254.713.00 თურქული ლირა - მოსარჩელისგან; მოსარჩელისგან ანაზღაურდა წინასწარი განხილვის ოქმში დადგენილი საარბიტრაჟო სხდომის მდივნის 2.5 თვის ჰონორარი, სულ - 1.250.00 თურქული ლირა, რომლიდანაც გადახდილი 500.00 თურქული ლირის დაქვითვის შემდეგ რჩება 750 თურქული ლირა; არბიტრაჟის ხარჯებისათვის წინასწარი გადახდილი 2.000.00 თურქული ლირიდან 342.00 თურქული ლირის ოდენობით უწყების ხარჯების დაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხა - 1.658.00 თურქული ლირა უკან დაუბრუნდა მოპასუხეს; მოპასუხე მხარეს ასევე დაეკისრა საარბიტრაჟო წარმოებაში მოსარჩელის წარმომადგენლის ჰონორარის 70 317.00 თურქული ლირას ანაზღაურება.

ჯ. ქ-ანის წარმომადგენელმა ი. ყ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჯ. ქ-ანის და მისი წარმომადგენლის ი. ყ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ 2009 წლის 12 ივნისს ანკარაში საარბიტრაჟო საბჭომ დააკმაყოფილა ჯ. ქ-ანის სარჩელი და მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხე შპს "სასტუმრო ინტურისტ პალას" დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2,250 000 აშშ დოლარი 01.06.2009 წლიდან მოყოლებული საპროცენტო განაკვეთთან ერთად დაუბრუნებელი კრედიტის გამო; ასევე, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკარგული მოგების თანხის, კერძოდ, 7 200 733,12 აშშ დოლარის და უპირობო ჯარიმის - 1 000 000 აშშ დოლარის გადახდევინება სარჩელის შეტანის თარიღიდან 31.03.2009 წლიდან მოყოლებული ბანკების მიერ აშშ დოლარის მიმართ ამოქმედებულ ყველაზე მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთთან ერთად; უარისა და თანხმობის მიცემის შესაბამისად საარბიტრაჟო საბჭოს ჰონორარის - 634.948.00 თურქული ლირის ნაწილი - 380.235.00 თურქული ლირა - ანაზღაურებული იყო მოპასუხისგან, ხოლო 254.713.00 თურქული ლირა - მოსარჩელისგან; მოსარჩელისგან ანაზღაურდა წინასწარი განხილვის ოქმში დადგენილი საარბიტრაჟო სხდომის მდივნის 2.5 თვის ჰონორარი, სულ - 1.250.00 თურქული ლირის ოდენობით, რომლიდანაც გადახდილი 500.00 თურქული ლირის დაქვითვის შემდეგ რჩება 750 თურქული ლირა; არბიტრაჟის ხარჯებისათვის წინასწარი გადახდილი 2.000.00 თურქული ლირიდან 342.00 თურქული ლირის ოდენობით უწყების ხარჯების დაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხა - 1.658.00 თურქული ლირა უკან დაუბრუნდა მოპასუხეს; მოპასუხე მხარეს ასევე დაეკისრა საარბიტრაჟო წარმოებაში მოსარჩელის წარმომადგენლის ჰონორარის - 70 317.00 თურქული ლირას ანაზღაურება.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

ჯ. ქ-ანის და მისი წარმომადგენლის ი. ყ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ჯ. ქ-ანის სარჩელი და მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხე შპს "სასტუმრო ინტურისტ პალას" დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2,250 000 აშშ დოლარი 01.06.2009 წლიდან მოყოლებული საპროცენტო განაკვეთთან ერთად დაუბრუნებელი კრედიტის გამო; ასევე, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკარგული მოგების თანხის, კერძოდ, 7 200 733,12 აშშ დოლარის და უპირობო ჯარიმის - 1 000 000 აშშ დოლარის გადახდევინება სარჩელის შეტანის თარიღიდან 31.03.2009 წლიდან მოყოლებული ბანკების მიერ აშშ დოლარის მიმართ ამოქმედებულ ყველაზე მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთთან ერთად; უარისა და თანხმობის მიცემის შესაბამისად საარბიტრაჟო საბჭოს ჰონორარის - 634.948.00 თურქული ლირის ნაწილი - 380.235.00 თურქული ლირა - ანაზღაურებული იყო მოპასუხისგან, ხოლო 254.713.00 თურქული ლირა - მოსარჩელისგან; მოსარჩელისგან ანაზღაურდა წინასწარი განხილვის ოქმში დადგენილი საარბიტრაჟო სხდომის მდივნის 2.5 თვის ჰონორარი, სულ - 1.250.00 თურქული ლირა, რომლიდანაც გადახდილი 500.00 თურქული ლირის დაქვითვის შემდეგ რჩება 750 თურქული ლირა; არბიტრაჟის ხარჯებისათვის წინასწარი გადახდილი 2.000.00 თურქული ლირიდან უწყების ხარჯების - 342.00 თურქული ლირა. დაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხა - 1.658.00 თურქული ლირა უკან დაუბრუნდა მოპასუხეს; მოპასუხე მხარეს ასევე დაეკისრა საარბიტრაჟო წარმოებაში მოსარჩელის წარმომადგენლის ჰონორარის 70 317.00 თურქული ლირას ანაზღაურება., საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის გადახდევინება; ჯარიმა

განჩინება

#ა-2330-შ-76-09

24 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენით გ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ განმეორებით ჩადენილ ქურდობაში და ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, მასვე დ. მ-იკის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის - 76320 რუბლის, მორალური ზიანის - 150000 რუბლის, სულ 226320 რუბლის, ასევე ბელორუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 152630 რუბლის გადახდა.

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის დადგენილებით გ. კ-იას ბელორუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა სასამართლო ხარჯების - 1800 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს დ. მ-იკმა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოსამართლე ვ.ტ-ინამ, მოითხოვეს დასახელებული განაჩენისა და დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება გ.კ-იასათვის დაკისრებული მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე, სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ცნობებით დგინდება, რომ განაჩენი და დადგენილება, რომელთა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას შუამდგომლობის ავტორები ითხოვენ, კანონიერ ძალაში შევიდა 2005 წლის 19 ნოემბერს. სახელმწიფო ბაჟის, სასამართლო ხარჯებისა და თანხის დაკისრების ნაწილში შუამდგომლობაში მითითებული განაჩენი და დადგენილება არ აღსრულებულა, ასევე დასტურდება, რომ გ.კ-იას დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და იგი მონაწილეობდა სასამართლო პროცესში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოსა და დ. მ-იკის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენისა და დადგენილების სახელმწიფო ბაჟის, სასამართლო ხარჯებისა და თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. კ-იამ და მოითხოვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მან სრულად მოიხდა განაჩენით მისჯილი სასჯელი, ამასთან იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას არ დაუსაქმებია, სადაც საკუთარი შრომით შეძლებდა დაკისრებული ზიანის ანაზღაურებას, ამასთან იმყოფება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობში და ვერ შეძლებს შუამდგომლობაში მითითებული თანხის გადახდას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოსა და დ. მ-იკის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენისა და დადგენილების სახელმწიფო ბაჟის, სასამართლო ხარჯებისა და თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენით გ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ განმეორებით ჩადენილ ქურდობაში და ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, მასვე დ. მ-იკის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაული-

ლით მიყენებული ზიანის - 76320 რუბლის, მორალური ზიანის - 150000 რუბლის, სულ 226320 რუბლის, ასევე, ბელორუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 152630 რუბლის გადახდა. სასამართლო ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში აღნიშნული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს მიმართეს ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოსამართლე ვ.ტ-ინამ და დ. მ-იკმა.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოსამართლე ვ.ტ-ინასა და დ. მ-იკის შუამდგომლობები გ.კ-იასათვის დ. მ-იკის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის - 76320 რუბლის, მორალური ზიანის - 150000 რუბლის, სულ 226320 რუბლის, ასევე ბელორუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 152630 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 1800 რუბლის დაკისრების ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენისა და ამავე სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

გ. კ-იას განცხადებაში მითითებული გარემოებები, კერძოდ, მსჯავრდებული სასჯელის მოხდისას არ იყო დასაქმებული, რის გამოც არ მიეცა შესაძლებლობა იძულებითი შრომით აენაზღაურებინა დაკისრებული ზიანი და სასამართლო ხარჯები ვერ გახდებოდა განსახილველი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც საკასაციო სასამართლო შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად რა დროსაც ამოწმებს შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან ფორმალურ შესაბამისობას, ისე, რომ არ იკვლევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის მატერიალურ საფუძველებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობებში მითითებული განაჩენი და დადგენილება თანხების დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად.

გ. კ-იას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 13 ნოემბრის #ა-2482-09 განცხადებაზე დართული საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინების ასლი 2 ფურცლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოსამართლე ვ.ტ-ინასა და დ. მ-იკის შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენი და ამავე სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის დადგენილება გ. კ-იასათვის დ. მ-იკის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის - 76320 რუბლის, მორალური ზიანის - 150000 რუბლის, სულ 226320 რუბლის, ხოლო ბელორუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 152630 რუბლისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების - 1800 რუბლის დაკისრების ნაწილში.

გ. კ-იას დაუბრუნდეს 2009 წლის 13 ნოემბრის #ა-2482-09 განცხადებაზე დართული მასალები 2 ფურცლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

#ა-30-შ-13-08

27 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე თ. თოდრია**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან შემოსული დოკუმენტების დასაშვებობის საკითხი ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარშის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის სარჩელის გამო, გ. ტ-ანის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრებისა და საბაჟო ვალდებულების შესრულების თაობაზე.

სასამართლომ გამოარკვია:

ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარშის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. ტ-ანს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 118.736 დრამის გადახდა, აქედან 112.736 დრამი ჯარიმის სახით, ხოლო 6 255 დრამი სახელმწიფო ბაჟის სახით. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაევალა სასაქონლო დეკლარაციის წარდგენა 2006 წლის 11 დეკემბერს შეტანილი 77 კგ გარჩეული და 55 კგ გაურჩეველი თხილისა. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი აღსრულდება იძულებითი წესით სასამართლოს აქტების მეშვეობით მოპასუხის ხარჯებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინებით სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, მას დაევალა განჩინების ჩაბარებიდან ოცი დღის ვადაში უზრუნველყო შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა: 1) დაინტერესებული მხარის ან სათანადო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა, რომელშიც ზუსტად იქნება აღნიშნული ის გადაწყვეტილება, რომლის ცნობასაც მოითხოვს შუამდგომლობის ავტორი; 2) დამოწმებული ცნობა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ; 3) დამოწმებული ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღსრულება არ მომხდარა. მასვე განემარტა, რომ თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, შუამდგომლობა განუხილველი დარჩებოდა.

აღნიშნული განჩინების ასლი წარმოდგენილ მასალებში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს დადგენილი წესის მიხედვით, მაგრამ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული. 2008 წლის 24 აპრილს გზავნილი განმეორებით იქნა გაგზავნილი სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის სახელზე.

საკასაციო პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინება სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს ჩაჰბარდა 2008 წლის 13 მაისს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შუამდგომლობის ავტორმა ხარვეზი არ გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა) არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა) განუხილველი დარჩება.

ვინაიდან სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტმა სასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი დოკუმენტები უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტისგან შემოსული დოკუმენტები ქ. ერევანის კენტრონისა და ნორკ-მარშის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განუხილველად დარჩეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

#ა-1379-შ-38-08

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონის #11 სასამართლო უბნის 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებისა და რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის სააპელაციო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნ. ა-შვილის (წარმომადგენელი თ. ა-ძე) შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით ნ. ა-შვილს (წარმომადგენელი თ. ა-ძე) დაევალა, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში წარედგინა რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის სააპელაციო გადაწყვეტილების დედნის სათანადო წესით დამოწმებული ასლი და დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, აღსრულდა თუ არა ან რა ნაწილში, რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონის #11 სასამართლო უბნის 2007 წლის 18 მაისისა და რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის სააპელაციო გადაწყვეტილებები. მასვე დაევალა მოპასუხის ზუსტი მისამართის მითითება და დაზუსტება, თუ რა ნაწილში ითხოვდა გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ასევე, განემარტა, რომ ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შუამდგომლობა განუხილველი დარჩებოდა.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ნ. ა-შვილის წარმომადგენელ თ. ა-ძეს 2008 წლის 6 აგვისტოს ჩაჰბარდა, მაგრამ შუამდგომლობის ავტორს დღემდე საკასაციო სასამართლოსათვის არ მოუმართავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ა-ძისათვის საფოსტო გზავნილის ჩაბარება წარმოადგენს მხარისათვის ჩაბარებას, რის გამოც ნ. ა-შვილის შუამდგომლობის ხარვეზის შესავსებად დანიშნული 30-დღიანი საპროცესო ვადის დინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის შესაბამისად, დაიწყო განჩინების გზავნილის თ. ა-ძისათვის ჩაბარების მომდევნო დღეს -

2008 წლის 7 აგვისტოს და დასრულდა 2008 წლის 5 სექტემბერს, რომელიც იყო სამუშაო დღე - პარასკევი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედებების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ა-შვილის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონის #11 სასამართლო უბნის 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებისა და რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის სააპელაციო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ა-შვილის (წარმომადგენელი თ. ა-ძე) შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონის #11 სასამართლო უბნის 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებისა და რუსეთის ფედერაციის ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ავტოქარხნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის სააპელაციო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დატოვებულ იქნეს განუხილველად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

#ა-1703-შ-44-08

23 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. ლ-ძის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი საბერძნეთის რესპუბლიკის ქალაქ თესალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ნ. ნ-იდის განცხადების გამო შვილად აყვანის თაობაზე.

სასამართლომ გამოარკვია:

საბერძნეთის რესპუბლიკის ქალაქ თესალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ნ-იდის განცხადება დაკმაყოფილდა - ნ. ნ-იდის შვილებად ცნობილ იქნენ 1987 წლის 17 მაისს დაბადებული ვ. ლ-ძე და 1988 წლის 19 ივლისს დაბადებული ქ. ლ-ძე.

ქ. ლ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საკასაციო პალატას და ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს ქ. ლ-ძეს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად, კერძოდ, მას დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან ოცი დღის ვადაში უზრუნველყო შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა: 1) ლეგალიზებული, თარგმნილი და დამოწმებული ცნობა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ; 2) ლეგალიზებული, თარგმნილი და დამოწმებული ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღსრულება არ მომხდარა. მასვე განემარტა, რომ თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, შუამდგომლობა განუხილველი დარჩებოდა.

აღნიშნული განჩინების ასლი წარმოდგენილ მასალებში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა შუამდგომლობის ავტორს ქ. ლ-ძეს დადგენილი წესის მიხედვით. განჩინება ქ. ლ-ძეს ჩაჰბარდა

2008 წლის 4 დეკემბერს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შუამდგომლობის ავტორმა ხარვეზი არ გამოასწორა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა) არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემომტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა) განუხილველი დარჩება.

ვინაიდან ქ. ლ-მემ სასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 401-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. ლ-მის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის ქალაქ თესლონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტეროტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

#ა-1238-შ-43-07

19 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. ა. შ-ის განცხადება სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის ავანის და ნორ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის დადგენილების გაუქმებისა და ავტომანქანა "მიცუბიში მონტეროს" მიმართ ყადაღის მოხსნის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-ანმა სარჩელით მიმართა სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ერევანის ავანის და ნორ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს მ. ა. შ-ის მიმართ და მოითხოვა ალიმენტის დაკისრება, ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფა და ავტომანქანა "მიცუბიში მონტეროს" დაყადაღება.

სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის ავანის და ნორ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის დადგენილება, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად.

მ. ა. შ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ სამოქალაქო საქმეზე #4414-2007წ. განაჩენით სამოქალაქო საქმის წარმოება ანა ბლეანის სარჩელზე მ. ა. შ-ის წინააღმდეგ, ალიმენტის და ერთობლივი ცოლქმრული ცხოვრებისას შეძენილი ქონების გაყოფის თაობაზე შეწყდა.

განმცხადებელმა მოითხოვა, სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის ავანის და ნორ-ნორკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის დადგენილების გაუქმება, ასევე, ყადაღის მოხსნა მის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანა "მიცუბიში მონტეროზე".

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ზემოხსენებული კანონი ასევე დეტალურად და ამომწურავად განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას საპროცესო სამართლის სფეროში. რაც კანონის 68-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, შემოიფარგლება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვით.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს სომხეთის რესპუბლიკის დადგენილების გაუქმება და სომხეთის რესპუბლიკის მიერ გამოყენებული საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიების-ავტომანქანაზე დადებული ყადაღის მოხსნა.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება მისი საპროცესო სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებს. საქართველოს საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს მხოლოდ მის ტერიტორიაზე მოქმედი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები). იგი ვერ იმსჯელებს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების გაუქმების საკითხზე. ასევე საკასაციო პალატა არაა უფლებამოსილი იმსჯელოს მითითებული გადაწყვეტილებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, კერძოდ ყადაღის მოხსნის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მხარემ აღნიშნული მოთხოვნით უნდა მიმართოს სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ერევანის ავანის და ნორ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს, ვინაიდან მხოლოდ იგია უფლებამოსილი, იმსჯელოს სარჩელის უზრუნველყოფისათვის გამოყენებული ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ კომპეტენტური სასამართლოს მიერ არ არის მოხსნილი ყადაღა, არ არსებობს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, 263-ე, 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ა. შ-3ის განცხადება არ დაკმაყოფილდეს.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

ა-562-შ-26-09

3 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "ბელეარის" წარმომადგენელ გ. გ-შვილის შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის თანხმობის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის თანხმობის ბრძანებით განისაზღვრა, რომ შპს "ბაზელი" (მოპასუხე), მის მიერ აღებული ვალდებულების საფუძველზე, 2009 წლის 27 მარტის 16.30 საათამდე არ განკარგავს, არ დატვირთავს და ასევე არ შეამცირებს იმ ქონების ღირებულებას, რომელიც ჩამოთვლილია შპს "ბელეარსა" და შპს "ბაზელს" შორის 2007 წლის 22 ივნისს დადებული "წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების" მე-3 მუხლში (შემდგომში: "ქონება"). აღნიშნული ბრძანებით მხარეებს ასევე განესაზღვრათ ვადა - 19 მარტის 16.30 საათამდე მტკიცებულებებისა და შესაგებლის წარმოსადგენად.

შპს "ბელეარის" წარმომადგენელმა გ. გ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის თანხმობის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. შემდგომ შუამდგომლობის ავტორმა იმ მოტივით, რომ ბრძანების აღსრულება შეუძლებელი იყო, მოხსნა თავისი მოთხოვნა აღსრულების ნაწილში და მოითხოვა ზემომითითებული ბრძანების მხოლოდ ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა შპს "ბელეარის" წარმომადგენელ გ. გ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი და თვლის იგი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, დასაშვებია უცხო ქვეყნის მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილების ცნობა, რომლითაც დამთავრებულია საქმის წარმოება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ითხოვს ისეთი ბრძანების ცნობას, რომლითაც არ არის დამთავრებული საქმის წარმოება. აღნიშნული ბრძანებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ სავარაუდო მოპასუხე შპს "ბაზელი" 2009 წლის 19 მარტის 16.30 საათამდე არ განკარგავდა, არ დატვირთავდა და არ შეამცირებდა იმ ქონების ღირებულებას, რომელიც ჩამოთვლილია შპს "ბელეარსა" და შპს "ბაზელს" შორის 2007 წლის 22 ივნისს დადებული "წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების" მე-3 მუხლში (შემდგომში: "ქონება"). აღნიშნული ბრძანებით ასევე მხარეებს განესაზღვრათ ვადა - 19 მარტის 16.30 საათამდე მტკიცებულებებისა და შესაგებლის წარმოსადგენად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ბრძანებით შესრულდა გარკვეული საპროცესო მოქმედება, ხოლო ასეთი თანხმობის ბრძანების ცნობას კი კანონი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, შპს "ბელეარის" წარმომადგენელ გ. გ-შვილის შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის თანხმობის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ბელეარის" წარმომადგენელ გ. გ-შვილის შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის თანხმობის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

ა-445-შ-20-09

6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის პ. ბ-ოვსკის შუამდგომლობა ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე - ნ. გ-იას სარჩელის გამო მოპასუხე გ. გ-იას მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. გ-იას მიმართ და მოითხოვა მშობლის უფლების ჩამორთმევა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1991 წლის 18 პრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება გ. გ-იასთან. მხარეებს ერთად ცხოვრების პერიოდში 1992 წლის 13 ოქტომბერს შეეძინათ შვილი - თ. გ-ია. ბავშვის დაბადება რეგისტრაციაში გატარდა #445 სააქტო ჩანაწერით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე 1994 წლიდან მათთან არ ცხოვრობს და არ ზრუნავს ბავშვზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს ჩამოერთვას მშობლის უფლება.

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის - პ. ბ-ოვსკის მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ გ. გ-იას სასამართლო სხდომის დროის შესახებ დროულად ეცნობა. სასამართლო უწყება და სასარჩელო განცხადების ასლი მას პირადად ჩაჰბარდა.

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-იას, დაბადებულს საქართველოში 1963 წლის 19 მაისს, ზუგდიდის რაიონის, სოფელ ძველ აბასთუმანში - ჩამოერთვა მშობლის უფლება 1992 წლის 13 ოქტომბერს დაბადებული არასწრულწლოვანი შვილის - თ. გ-იას მიმართ. ბავშვის დაბადება რეგისტრაციაში გატარდა 1992 წლის 3 ნოემბერს ქ. ბრესტის ლენინის რაიონის რაიონის მმჩის ბიუროს #445 სააქტო ჩანაწერით. ამავე გადაწყვეტილებით გ. გ-იას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 5500 რუბლის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 23 დეკემბერს და სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე პ. ბ-ოვსკიმ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის პ. ბ-ოვსკის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. გ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. გ-იას მიმართ და მოითხოვა მშობლის უფლების ჩამორთმევა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1991 წლის 18 პრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება გ. გ-იასთან. მხარეებს ერთად ცხოვრების პერიოდში 1992 წლის 13 ოქტომბერს შეეძინათ შვილი - თ. გ-ია. ბავშვის დაბადება რეგისტრაციაში გატარდა #445 სააქტო ჩანაწერით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე 1994 წლიდან მათთან არ ცხოვრობს და არ ზრუნავს ბავშვზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს ჩამოერთვას მშობლის უფლება.

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის - პ. ბ-ოვსკის მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ გ. გ-იას სასამართლო სხდომის დროის შესახებ დროულად ეცნობა. სასამართლო უწყება და სასარჩელო განცხადების ასლი მას პირადად ჩაჰბარდა.

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-იას, დაბადებულს საქართველოში 1963 წლის 19 მაისს, ზუგდიდის რაიონის, სოფელ ძველ აბასთუმანში - ჩამოერთვა მშობლის უფლება 1992 წლის 13 ოქტომბერს დაბადებული არასწრულწლოვანი შვილის - თ. გ-იას მიმართ. ბავშვის დაბადება რეგისტრაციაში გატარდა 1992 წლის 3 ნოემბერს ქ. ბრესტის ლენინის რაიონის რაიონის მმჩის ბიუროს #445 სააქტო ჩანაწერით. ამავე გადაწყვეტილებით გ. გ-იას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების გადახდა 5500 რუბლის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 23 დეკემბერს და სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე პ. ბ-ოვსკიმ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე პ. ბ-ოვსკის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე გ. გ-იას. მას განემარტა, რომ ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის წერილობითი გამოხატვის უფლება; შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი ამას არ მოითხოვს, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატაში მიღებული შეტყობინებით ცნობილია, რომ შეკვეთილი წერილი ადრესატს ჩაჰბარდა 2009 წლის 26 მარტს.

მოპასუხე მხარეს რაიმე შუამდგომლობით საკასაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე პ. ბ-ოვსკის შუამდგომლობა ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

ქ. ბრესტის ლენინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. გ-იას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის - 105000 რუბლისა და სასამართლო ხარჯების - 5500 რუბლის გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას;

აღნიშნული განჩინების ასლი და სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

#ა-2292-შ-52-08

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე მ. სულხანიშვილი**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა პერმის მხარის რუსეთის სასამართლო მოხელეების ფედერალური სამსახურის სამმართველოს ქ. სოლიკამსკის და სოლიკამსკის რაიონის სასამართლო მოხელეების განყოფილების უფროსის - ს. პ-ევის მიერ შემოსული დოკუმენტების დასაშვებობის საკითხი ტ. ფ-შვილის მიმართ ს. ჩ-ევის სასარგებლოდ, მორალური ზიანის გადახდევინების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ პერმის მხარის რუსეთის სასამართლო მოხელეების ფედერალური სამსახურის სამმართველოს ქ. სოლიკამსკის და სოლიკამსკის რაიონის სასამართლო მოხელეების განყოფილების უფროსის ს. პ-ევის მიერ შემოსულ-

ლი დოკუმენტები ტ. ფ-შვილის მიმართ ს. ჩ-ევის სასარგებლოდ, მორალური ზიანის გადახდევინების თაობაზე განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს, ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს.

ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით პერმის მხარის რუსეთის სასამართლო მოხელეების ფედერალური სამსახურის სამმართველოს ქ. სოლიკამსკის და სოლიკამსკის რაიონის სასამართლო მოხელეების განყოფილების უფროს ს.ა. პანტელეევს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 1) შუამდგომლობა, 2) მოპასუხე იყო თუ არა მოწვეული სასამართლო პროცესზე აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება, 3) მოპასუხის ადგილსამყოფელის მისამართი, 4) ლეგალიზებული, თარგმნილი და დამოწმებული ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღსრულება არ მომხდარა და დამოწმებული ქართული თარგმანი.

აღნიშნული განჩინების ასლი პერმის მხარის რუსეთის სასამართლო მოხელეების ფედერალური სამსახურის სამმართველოს ქ. სოლიკამსკის და სოლიკამსკის რაიონის სასამართლო მოხელეების განყოფილების უფროს ს. პ-ევს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდა მიმდინარე წლის 7 ივლისს. შესაბამისად განსაზღვრული ვადა ამოიწურა 2009 წლის 17 ივლისს, მაგრამ აღნიშნულ ვადაში მის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

პერმის მხარის რუსეთის სასამართლო მოხელეების ფედერალური სამსახურის სამმართველოს ქ. სოლიკამსკის და სოლიკამსკის რაიონის სასამართლო მოხელეების განყოფილების უფროსის ს. პ-ევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ქმედებათა განხორციელება

განჩინება

ა-2452-შ-84-09

10 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საკასაციო პალატამ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს "აკურატუსის" წარმომადგენლის ი. ჟ-იანის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

ვილნიუსის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "აკურატუსმა" მოპასუხე IDშ BOღჟOMI BEVEღAGEშ ჩო.N.V მიმართ და განმარტა, რომ 2007 წლის 28 თებერვალს მოსარჩელემ და მოპასუხის თბილისის ფილიალმა დადეს ხელშეკრულება #15/07, რომლითაც შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან, ე.ი. 2007 წლის 28 თებერვლიდან

2009 წლის 31 დეკემბრამდე, მოპასუხემ მოსარჩელეს მიანიჭა განსაკუთრებული უფლება მოპასუხის მიერ ნაწარმ მინერალურ წყალ "ბორჯომზე" და "ბორჯომი სპრინგსზე" ბალტიის ქვეყნების ტერიტორიაზე (ლატვიის რესპუბლიკაში, ლიტვის რესპუბლიკაში და ესტონეთის რესპუბლიკაში). მოპასუხემ 2008 წლის 18 ნოემბერს შეტყობინებით წინასწარი გაფრთხილების გარეშე ცალმხირვად დაარღვია ხელშეკრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა განსაკუთრებული დისტრიბუციის შესახებ ხელშეკრულების დარღვევის უკანონოდ გამოცხადება, მიუღებელი თანხებისა და მარკეტინგისა და დაწუნებული პროდუქციის ხელახალი შეფუთვის ხარჯების ანაზღაურება.

2009 წლის 10 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს "აკურატუსის" წარმომადგენელმა ი. ჟ-იანმა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ კი ბორჯომის რაიონში, ... ქ. #39-ში რეგისტრირებული IDშ BOღჟOMI BEVEღAGEშ ჩო.N.V-ს თბილისის ფილიალზე რიცხული ქონების დაყადაღება. იმ საქმეზე, რომელიც განიხილება ვილნიუსის საოლქო სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო მოცემულ საქმეზე წარმოდგენილ განხადებას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

განსახილველ საქმეზე შპს "აკურატუსის" წარმომადგენელმა ი. ჟ-იანმა მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 190-ე-198-ე მუხლების შესაბამისად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ საქმეზე რომელიც ვილნიუსის საოლქო სასამართლოს წარმოებაშია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის I ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასარჩელო წესით საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ქმედების განხორციელება, რაც ხელს შეუშლის ან შეუძლებელს გახდის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამავე კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განხილველი სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია შემოიფარგლება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებით, ხოლო სარჩელის ან მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ, რომელიც შესაბამის დავას განიხილავს.

ამდენად, "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების წესებს განსაზღვრავს, არ ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას იმ საქმეებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის სასამართლოების წარმოებაშია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს შპს "აკურატუსის" წარმომადგენლის ი. ჟ-იანის განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, 284ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

შპს "აკურატუსის" წარმომადგენლის ი. ჟ-იანის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდეს

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.